

# **გარდაპირობის ღვთისებრობლის შობის ეკლესია**

**გამომცემლობა კავკასია  
თბილისი**

დამკაბადონებული  
ვლადიმერ პერანიძე

გარეკანის დიზაინერი  
ილია ხელაია

ISBN 978-9941-9463-3-2      © გამომცემლობა „კავკასია“, 2016

ამ ცისქვეშეთში ყველაფერს თავისი დრო-უამიაქვს და ყველაფერი ღვთის განგებულებით აღესრულება. გარდაპის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მშენებლობის ისტორიის შესწავლისა და მონოგრაფიის დაწერის პატივი



რამდენიმე წლის წინათ მხვდა. ალბათ, ასე იყო ღვთის ნება, რადგან მონოგრაფიის დაბეჭდვა და გამოცემა რამდენჯერმე გადაიდო. ეს იმითაც აიხსნება, რომ ჯერ არ დამდგარიყო მისი გამოქვეყნების დრო.

ტაძრის კურთხევიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა და ამ წლებმა კიდევ მეტად თვალსაჩინო გახადა ქალბატონ მაყვალა კიკაპიძის, ამ ტაძრის აგების იდეის ავტორის ღვანლი. ასევე გამოიკვეთა შრომა, თავდადება და რუდუნება იმ ადამიანებისა, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ამ საკათედრო ტაძრის აღმშენებელ-დამამშვენებელნი. მონოგრაფიაში ასევე პატივით არის წარმოდგენილი იმ სა-

სულიერო თუ საერო პირთა ღვაწლი, რომლებმაც  
დიდი სულიერი, მორალური და ფიზიკური მუშა-  
კობა გასწიეს „მეოცე საუკუნის სვეტიცხოვლის“  
ასაგებად.

დედალვთისმშობლის შობის დღესასწაული IV  
საუკუნეში დადგინდა და პირველი ტაძარი მის  
სახელზე მოციქულთასწორმა ელენემ აღმართა.

საქართველოში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის  
შობისა და მიძინების სახელზე ასზე მეტი ტაძა-  
რია აშენებული. ფაქტია ისიც, რომ 200 წელი სა-  
ქართველოში ეკლესიათმშენებლობა შეწყვეტილი  
იყო. ასეთი დიდი ინტერვალის შემდეგ, გარდაბნის  
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის მშე-  
ნებლობა დაიწყო და მალევე დაესრულა. სწორედ  
სამონასტრო მშენებლობის აღდგენისა და განახ-  
ლების მადლი აქვს ამ ტაძარს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეუწიროს თი-  
თოეულ მშენებელს ღვაწლი, დალოცოს და გააძ-  
ლიეროს ამ მონოგრაფიის გასრულებისათვის დღე-  
ნიადაგ მზრუნველი და მეცენატი ბატონი გურამ  
ფირცხალაიშვილი.

დედალვთისმშობელმა დალოცოს ამ ნაშრომის  
წამკითხველნი!

თამარელა წონორია  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
2016 წლის – მარტი (მირკანი).

## გზა ტაძრისაკენ

რუსთავიდან გარდაბნისკენ მიმავალ გზატკეცილს რომ დაადგები, ამ სასიამოვნო ხეივნის შუაში, ყველაზე შემაღლებულ და თვალსაჩინო ადგილას, უეცრად აღიმართება ტაძრის გუმბათი და რაც უფრო უახლოვდები ამ ისტორიულ ქალაქს, მით უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგება ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია.

ამ ძირძველ ქართულ მინაზე როგორც კი შემოაბიჯებ, გული სიხარულით ივსება და საქართველოს უკეთესი მომავლის იმედიც არ გტოვებს, რადგან სადაც რწმენაა, იქ ეკლესია შენდება და უფალი სუფევს.

ყოველ გარდაბნელს ეამაყება ტაძარი, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II 1992 წლის 4 ოქტომბერს გახსნა და „მეოცე საუკუნის სვეტიცხოვლად“ აკურთხა. საქართველოს ეკლესიის მშენებლობის ისტორიაში ორი საუკუნის შემდეგ, გარდაბანში აშენდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საეკლესიო კომპლექსი.

4 ოქტომბერი. შაბათი. ტაძარმა კარი გაუხსნა  
მრავალრიცხოვან მრევლს. წირვა უწმიდესმა და  
უნეტარესმა აღავლინა და მრევლი ასე დალოცა:

„განსაკუთრებულად იცავს საქართველოს ყო-  
ვლადნმიდა ღვთისმშობელი დედა, რომლის სა-  
ხელზე აშენდა ეს დიდებული ტაძარი. ყოვლადნმი-  
და ღვთისმშობელი არის მფარველი საქართველოსი  
და საქართველო არის წილხვედრი ყოვლადნმიდა  
ღვთისმშობლისა.

მე მინდა დღეს განსაკუთრებით დავლოცო,  
შევთხოვო უფალს, რომ უფალმა დალოცოს ყველა  
ადამიანი, რომელიც აშენებდა ამ წმიდა ტაძარს“.

კათოლიკოს-პატრიარქმა ეკლესიის მშენებლო-  
ბაში შეტანილი წვლილისათვის ბიბლიითა და მაჯის  
ოქროს საათით დააჯილდოვა ქალბატონი მაყვალა  
კიკაბიძე და ტაძრის სხვა აღმშენებელნი. შემდეგ  
ჩაატარა ნათლობა და ჯვრისწერა. გახსნის დღეს  
პატრიარქის დალოცვას ასე იგონებს ქალბატონი  
მაყვალა: „უწმიდესმა ძალიან დამაფასა და სახსო-  
ვრად ბიბლიის ახალი რედაქცია და მაჯის ოქროს  
საათი გადმომცა. ასევე მისურვა, რომ გამეგრძე-  
ლებინა ეკლესიების მშენებლობა, რადგან მადლი  
შენგან მოდის და მე ვიცი, შენ კიდევ ააშენებ  
ეკლესიასო“.

ზეიმმა ტაძრის ეზოში გადაინაცვლა. პატრიარ-  
ქის შემდეგ აქ შეკრებილ მომლოცველებს ეს მნიშ-





გარდაბნის მფარველი ღვთისმშობელი



ტაძრის კურთხევის დღე. 04.10.1992



ტაძრის კურთხევის დღე. 04.10.1992



ტაძრის კურთხევის დღე.  
პატრიარქი ბიბლიით აჯილდოვებს  
ხუტა მამალაძეს. 04.10.1992



Ծամրության կուրտեցվությունը գոյացած է 1992 թվականի հունվարի 2-ին:



მამა გაბრიელი, გარდაპანში ტაძრის კურთხევის  
დღეს. 04.10.1992

ვნელოვანი მოვლენა მიულოცეს გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ნუგზარ (ხუჭა) მამალაძემ, სახალხო არტისტებმა: გურამ საღარაძემ, გოგი გეგეჭკორმა, ზინაიდა კვერენჩილაძემ, გოგი ხარაბაძემ და სხვებმა. მათ მადლიერებით მოიხსენიეს ის ადამიანები, ვინც ააშენა და დაამშვენა ეს შესანიშნავი ტაძარი. აღნიშნეს, რომ ამიერიდან გარდაბნელ ღვთისმოსავებს საკუთარ ქალაქში ექნებოდათ რწმენის, სულის აღზევებისა და განწმენდის ტაძარი.

ტაძრის გახსნის დღესასწაულზე ჩამობრძანებული იყვნენ სინოდის წევრები: მეუფე იობი (აქიაშვილი), მეუფე დავითი ალავერდელი (მახარაძე), მეუფე კალისტრატე (მარგალიტაშვილი), მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და მეუფე ათანასე (ჩახვაშვილი).

ტაძრის გახსნას ესწრებოდა მამა გაბრიელი (ურგებაძე). უკეთ რომ ელოცა, ეკლესია-მონასტრები მშიერს ფეხით ჰქონდა შემოვლილი. თავის და სხვის ცოდვებს ხშირად დასტიროდა, მაგრამ აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ადამიანს, რომელიც 12 წლიდან თაყვანს სცემდა უფალს, რაიმე მძიმე ცოდვა ჰქონდა. იგი სიმდაბლის საოცარი მაგალითი იყო, მაგრამ სალოსობდა და ამ დიდი მადლისა და სულიერი ნიჭის დასაფარად ხანდახან უცნაურადაც იქცეოდა. განსაკუთრებით

შეუძლოდ ხდებოდა ხოლმე, როცა საქართველოს რაიმე დიდი განსაცდელი მოელოდა. უძლურებაში ჩავარდებოდა ხოლმე, ეს განსაცდელები მასზე პირდაპირ მოქმედებდა. გაბრიელ ბერის შეგონებანი და ქადაგებანი მოყვასისადმი თავდადებასა და თვითშეწირვას ასწავლიდა ადამიანებს. იგი დიდად აფასებდა თანაგრძნობის უნარ-თვისებას. მას თავად შეეძლო საკუთარ თავზე ეტვირთა სხვისი ტკივილი, მაგრამ თუკი სხვაშიც შეამჩნევდა ამ უნარს, უსაზღვროდ მადლიერი იყო. გაბრიელ ბერი სულის ხსნისათვის გაღებულ სამონასტრო შემოწირულობას დიდი სიყვარულით იღებდა. ტაძრის კურთხევის დღესაც მამა გაბრიელი ალალად დასასაჩუქრეს, თუმცა ქალბატონი მაყვალა იხსენებს: „არა მხოლოდ შესანირავით განიზომებოდა გაბრიელ ბერისათვის უფლის მიმართ თავდადება, არამედ ყოველი ადამიანის მუდამჟამს თვითშეწირვისათვის მზაობით“.

საეკლესიო ღვთისმსახურება გაბრიელ ბერს უფალთან დამაკავშირებელ ერთადერთ გზად და საშუალებად მიაჩნდა და მრევლს მუდამ მოუწოდებდა ეკლესიურნი გამხდარიყვნენ. უყვარდა ბავშვებთან ურთიერთობა და მათ ქრისტეს სიყვარულს შთააგონებდა. მამა გაბრიელი ტაძრის გახსნაზე მოსულ ქრისტიანებს ლოცავდა, არიგებდა, ასწავლიდა და მოძღვრავდა.

ისტორიული ბედუკულმართობის გამო, „ამა სოფლისა ძლიერთა“ მიერ შვიდი ათეული წლის მანძილზე უარყოფილმა უფალმა კვლავ თავისი მფარველობის ქვეშ დააბრუნა მრევლი, ვითარცა მამამ ძე შეცომილი. 200 წლის შემდეგ, თბილისთან ახლოს, გარდაბანში, ისტორიულ ხუნანში პირველად ახმიანდა საეკლესიო ზარი.

გარდაბანი – ძველი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირა პროვინცია, საერისთავო, ცენტრი ხუნანი.

ცნობილია, რომ ხუნანი ძველი ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ცენტრი იყო. არაბული წყაროების მიხედვით, მეორე ცენტრი იყო ჯარდამანი (გვიანდელი ყიზყალა), რომელიც მდინარეების ქცია-ხრამის შესართავთან უნდა ყოფილიყო. შუა საუკუნეებსა და მომდევნო პერიოდში გარდაბნის პროვინცია მოიცავდა დღევანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთი მხარის, მდინარეების – ძეგამჩაის, თოუზჩაის, აღსტაფაჩაის აუზებს და საქართველოს მდინარეების ქციის, ხრამისა და ალგეთის უკიდურეს ქვემო წელს.

ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში უკვე არსებობდა ხუნანის საერისთავო. მეხუთე საუკუნეში ქართველთა სათაყვანებელმა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა, იქ საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.

IX-XII საუკუნეებში, როცა საქართველო აღმა-  
ვლობის გზაზე იდგა, ხუნანი გაგის საერისთავოში  
შედიოდა. XIII საუკუნეში მონღოლთა ბარბარო-  
სულმა შემოსევებმა იავარქმნეს ეს უძველესი ის-  
ტორიული ცენტრი და ამიერიდან ხუნანი წყაროებ-  
ში აღარ მოიხსენიებოდა.

ქართლის ეს ნაწილი, ისტორიული გარდაბა-  
ნი, თავისი გაშლილი, თვალუწვდენელი ველებით,  
ყოველთვის გამოირჩეოდა განვითარებული მეურ-  
ნეობით. ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ის ბრძანე-  
ბით, აქ გაუყვანიათ იმ დროისათვის სრულყოფილი  
სარწყავი სისტემა. დროთა განმავლობაში კი იგი  
მოშლილა და შემდეგში კვლავ აღუდგენიათ.

საეკლესიო წყაროების მიხედვით, გარდაბანი  
1917 წლამდე თბილისის მაზრაში შედიოდა. 1938  
წელს კი დედაქალაქს გამოეყო ყარაიას რაიონის  
სახელწოდებით. 1947 წლიდან კვლავ გარდაბნად  
მოიხსენიებოდა. ქალაქი მდებარეობს თბილისიდან  
39 კმ-ზე, გარდაბნის ვაკეზე, თბილისი-ბაქოს რკი-  
ნიგზის ხაზზე, ქალაქად იწოდება 1969 წლიდან.  
ჰავა მშრალია, სუბტროპიკული. ჰაერის საშუალო  
წლიური ტემპერატურა  $12.9^{\circ}\text{C}$ , იანვარში  $0.3^{\circ}\text{C}$ ,  
ივლისში  $25.3^{\circ}\text{C}$ , ნალექები 422 მმ წელიწადში. ქალა-  
ქის შემოგარენი ირწყვება გარდაბნის არხით. აქვეა  
თბილისის რაიონული, ამიერკავკასიაში უდიდესი  
თბოელექტროსადგური და ყველა ის სასიცოცხლო

მნიშვნელობის ობიექტი, რომელიც აუცილებელია ქალაქის არსებობისათვის.

როგორც ყველა ქართველს, ოდითგანვე ათასგვარი საფიქრალი და საზრუნავი ჰქონდა გარდაბნელ კაცსაც. ამ ტერიტორიას რამდენჯერ დაპატრონებია უცხოტომელი და გაუყვია მისი ღალიან-ბარაქიანი მინა. სულ ახლო წარსულშიც კი იტაცებდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ წმიდა ადგილს, მაგრამ შეიცვალა დროება, შეიცვალა ვითარება, გამოჩნდა პატრონი.

ქალაქ გარდაბანში ამჟამად 17720 მცხოვრებია, აქედან ქართველია 6004. ამას ემატებოდა ახლომახლო და შორეული სოფლების სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანული მოსახლეობის: სომეხის, ბერძნის, რუსის სწრაფვა სარწმუნოებისაკენ და დღის წესრიგში კვლავ დადგა ეკლესიის აშენების საკითხი იმ ქალაქში, სადაც ოდესლაც დუღდა ქრისტიანული ცხოვრება.

გარდაბნის რაიონის თავკაცებმა ოთარ ბოკერიამ, გურამ ფირცხალაიშვილმა, ნუგზარ მამალაძემ, რევაზ ონიანმა, ცეზარ მოსიძემ და სხვებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ აქაურ მართლმადიდებელ მორწმუნეთა სურვილი აესრულებინათ. ყველაზე მეტი მაინც ადგილობრივმა სამეურნეო მუშაკმა, გარდაბნის რაიონოპვაჭრობის დირექტორმა მაყვალა კიკაბიძემ „იომა“, რომ იტყვიან,

„რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და სხვადასხვა ინსტანციებში იარა, რომ ტაძრის აშენების ნებართვა გამოეთხოვა.

ამ გადმოსახედიდანაც იოლად ნამდვილად არ მოჩანს წარსული, მაგრამ მშენებლობას უფრო მეტად მძიმე და რთული ისტორია აქვს, – იგონებს ქალბატონი მაყვალა. ამ ეკლესიის მშენებლობას 1990 წელს ჩაეყარა საფუძველი. მშენებლობის საკითხის გადაწყვეტას კი თითქმის ათი წელი დასჭირდა. 1982 წლიდან მამა სოგრატი და მამა ელიზბარი სისტემატურად დაგვყავდა გარდაპანში სახლის საკურთხებლად და ხელისუფლებისგან მალულად ვნათლავდით ასირიელებს, სომხებსა და ქართველებს.

შორს წაგვიყვანდა იმ უძილო ღამეებზე, ცალკეულ წარმატებულ თუ წარუმატებელ ეპიზოდებზე საუბარი, რაც უკან მოიტოვეს ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორებმა. მაყვალა კიკაპიძის ოჯახის მოღვაწეობა მაგალითია ქრისტესადმი თავდადებული სიყვარულისა, ეს ის ოჯახია, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ დიდებული ტაძრის აშენებასა და მოვლა-პატრონობაში.

„ჩემს საკუთარ ცხოვრებას ხუ აღწერ, მხოლოდ იმ მადლის შესახებ დაწერე, რომელიც ღვთის წყალობით მომენტა და გზას მიჩვენებდა და მამტკიცებდა კეთილ საქმეში“, – გვიყვება ქალბატონი მაყვალა.



მაყვალა კიკაბიძე



მარინა უგულავა და მაყვალა კიკაბიძე



ნინო უგულავა

ქალბატონ მაყვალას ღვთის თაყვანისცემა და სიყვარული დედამ შთაუნერვა. სამხრეთ საქართველოს ულამაზეს რაიონში, ადიგენში დაბადებულ გოგონას ეს სიყვარული და რწმენა ურნმუნოების პერიოდშიც არ განელებია, როცა პირჯვარის გადაწერა და ეკლესიაში სიარული იკრძალებოდა, როცა რელიგიური ლიტერატურის კითხვა მკრეხელობად ითვლებოდა.

ახსოვს, ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, ძილის წინ დაიჩინებდა და ღმერთს საქართველოს ერთიანობას, მშვიდობასა და ბედნიერებას შესთხოვდა. გაგონილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, იმ ნლებმა ხომ ათასობითი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა. მერე კი, უფროსკლასელმა ბევრი რამ წაიკითხა – საუკუნეთა განმავლობაში როგორ სპობდნენ, ანადგურებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ საქართველოს, მაგრამ როგორ გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს და ქართველი ერი „დადგა ერად სხვა ერთა შორის“.

სკოლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ უფიქრია და მან ადიგენში კოოპერაციაში ბუღალტრად დაინტერესობა. მონდომებით ცდილობდა ჯეროვნად ჩაწერომოდა ბუღალტერის „საიდუმლოებებს“. ამასობაში სიყვარულიც ეწვია და თავისი ბედი რევაზ უგულავას დაუკავშირა.

1965 წელს ახალგაზრდა ოჯახი გარდაბანში დასახლდა. მთავორიან ადიგენთან შედარებით

ეუცხოვა ქვემო ქართლის თვალუნვდენელი ვაკე, მკაცრი ზაფხული, მოსახლეობის სიჭრელეც, სადაც ქართველებს საგრძნობლად სჭარბობდნენ არაქართველები. თუმცა მალევე დარწმუნდა, რომ სხვა-დასხვა ეროვნების წარმომადგენლები აქ მეგობრულად ცხოვრობდნენ.

გარდაბანში კვლავ კოოპერაციას მიაშურა და რიგით ბუღალტრად დაიწყო მუშაობა. მისი მონიტორინგი და საქმისადმი სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენია კოოპერაციის გამოცდილ მუშაკს, ახალგაზრდობის საიმედო მეგობარსა და მოიმედეს, ბატონ დავით ლეკიშვილს. მან ძალისხმევა არ დაიშურა, რომ მზარდი კადრისათვის გზა გაეხსნა. კოოპვაჭრობაში მუშაობის მეთხუთმეტე წელს მაყვალა კიკაბიძეს რაიონის კოოპვაჭრობის უფროსობა ჩააბარეს. 1991 წელს კი ცეკავშირის ფირმა „ხვავის“ გაერთიანების დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს. მისი საქმიანობის დასახასიათებლად არც ციფრებს მოვიშველიებთ და არც სტატისტიკას გავედევნებით. ერთი რამ ცხადი იყო, ამ ენერგიული ქალბატონის თავდაუზოგავი მუშაობით კოოპვაჭრობის სისტემამ არნახულ წარმატებებს მიაღწია.

სამეურნეო საქმიანობის წარმატებულად მართვასთან ერთად, ქალბატონ მაყვალას ანუხებდა ფიქრი იმაზე, რომ თბილის ქალაქიდან სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრში, ძველი არიშის ციხემდე

გადაჭიმულ ტერიტორიაზე, ქართველთა სისხლით გაუღენთილ მიწაზე, ერთი სალოცავიც არ იდგა მათი სულების მოსახსენებლად.

არიში (რიშყალა) გახლავთ რუსთავის ციხე-ქალაქის ისტორიული სახელწოდება. XX საუკუნეში რუსთავის ციხის ტერიტორიაზე ძირითადად არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა და ციხეს რიშყალად მოიხსენიებდნენ. რიში ქართული რუსთავის დამახინჯებული ვარიანტია. XX საუკუნის 20-იან წლებში ციხეს კიდევ ერთი ისტორიულად გაუმართლებელი სახელი დაუმკვიდრდა – არიშის ციხე. ეს სახელწოდება უკავშირდება ამ ციხის ჰერეთის დიდებულების – არიშიანების საგვარეულო ციხედ მიჩნევის მოსაზრებას, რაც უარყვეს იმდროინდელმა ისტორიკოსებმა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ რუსთავი ყოველთვის კახეთ-კუხეთის განუყოფელი ნაწილი იყო და არასოდეს შედიოდა ჰერეთის შემადგენლობაში. ყველა ისტორიულ წყაროში ციხე მოხსენიებულია როგორც რუსთავის ციხე-ქალაქი ან რუსთავის ციხე.

მართალია, ქალბატონი მაყვალა თბილისში დადიოდა სალოცავად, მაგრამ წუხდა, რომ ამ ძირძველი მიწის ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო სულიერი სიმშვიდის სავანეს. გარდაბანში კი ცოტანი როდი იყვნენ ქრისტესმიერი დები და ძმები, რომელთაც სურვილი ჰქონდათ საკუთარ ქალაქში ჰქონდათ ტაძარი. თბილისში ქალბატონი მაყვა-

ლას სულიერი მოძღვარი იყო მამა სოგრატი, მისი შვილებისა კი – მამა ელიზბარი.

ნირვა-ლოცვას ესწრებოდა ასევე სამებაში, დი-დუბეში, სვეტიცხოველში, მთასა თუ ბარში თაყვანს სცემდა ღმერთს, სწირავდა შესანირავს, ეხმარებოდა ღარიბ-უპოვართ.

„დიდებასა უფლისასა ეძიებდა“ და ამიტომაც იყო, რომ ქალბატონ მაყვალას გაუჩნდა იდეა გარდაბანში ეკლესია აშენებულიყო. მეზობლებისაგან გაიგო, რომ ასირიელების უბანში იყო წმიდა მამა აბრაამის პატარა სამლოცველო. მოილოცა ის ადგილი, შესწირა ხატები და სამლოცველოსათვის აუცილებელი ნივთები. აქვე შეიტყო, რომ გარდაბანში არსებობდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია, ბევრი ეძებეს არქივებშიც, მაგრამ ამ ეკლესიის ისტორიულ ადგილს ვერ მიაგნეს.

გარდაბანში ეკლესიის აშენების თაობაზე თავისი დიდი ხნის ნაფიქრალი ქალბატონმა მაყვალამ თავის მრჩეველსა და სანდო ადამიანს, დავით ლეკიშვილს გაუმხილა და თადარიგსაც შეუდგნენ.

1982 წელს თბილისიდან სახლის საკურთხებლად ჩამოსულმა მამა სოგრატმა მაყვალას ინიციატივის შესახებ რომ გაიგო, დალოცა იგი და დამოძღვრა: ახლა ტაძრის აშენებისთვის რთული დროა და ამას მხოლოდ ღვთის შენევნით თუ შეძლებთო!

ცეკავშირის თანამშრომლის, გედევან გოგნიაშვილის შენევნით გაიცნო უნიფიდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელსაც მოეწონა ტაძრის მშენებლობის იდეა, აკურთხა და ბევრი სასარგებლო რჩევაც მისცა ქალბატონ მაყვალას.

შეუდგნენ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, შეიქმნა გარდაბნის მართლმადიდებელ ქრისტიან მორწმუნეთა რელიგიური გაერთიანება ოცი კაცის ოდენობით, რომელიც დამტკიცდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 16 მარტის 558-IX ბრძანებულებით. ამ ბრძანებულების საფუძველზე მორწმუნებს გადაეცათ აბრაამის სამლოცველო სახლი.

ასირიელების უბანში, წმიდა აბრაამის სამლოცველოში ხშირად ჩამოდიოდნენ ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვრები – მამა ღვთისო (შალიკაშვილი) და მამა ელიზბარი (ოდიშვილი), მეტეხის ეკლესიის მოძღვარი მამა რაფიელი (ხაჭაპურიძე) და ატარებდნენ წირვასა და წათლობას. დიდი ძალა და მადლი მიეცა წმიდა აბრაამის სამლოცველოს. აქაურობას გაუმრავლდა მრევლი, სულ მალე კი ჯვარი აღიმართა სამლოცველო გუმბათზე. წმიდა სალოცავს ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), რომელმაც 1987 წელს რელიგიის საქმეთა

საბჭოს ეკლესიის მშენებლობის შუამდგომლობის  
მოტივით წერილი მისწერა.

1989 წლის 19 ოქტომბერს, სსრკ მინისტრთა  
საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს  
მიერ, რეგისტრირებულ იქნა მართლმადიდებელ  
მორწმუნეთა რელიგიური გაერთიანება გარდაბან-  
ში, გამარჯვების ქუჩაზე მდებარე სამლოცველო  
სახლში.

გარდაბანში მცხოვრებ ქრისტიანებს დიდი სურ-  
ვილი ჰქონდათ მათ ქალაქში ტაძარი აშენებულიყო  
და წირვა-ლოცვა ჩატარებულიყო. იმ ათეისტურ  
პერიოდში, ნამდვილად ღვთის ნება იყო, რომ დიდი  
წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყდა ტაძრის  
აშენება, – ასე იგონებს მამა სოგრატი (ჭულუხაძე).

გარდაბნის აღმასკომის თავმჯდომარის მაშინ-  
დელი პირველი მოადგილის, ბატონ გურამ ფირცხა-  
ლაიშვილის დახმარებით, ქალაქის შესასვლელში  
საუკეთესო ადგილი შეირჩა. ტაძარი ამაღლებულ  
ბორცვზე, ყოველი მხრიდან კარგად გამოსაჩენ  
ადგილზე უნდა აშენებულიყო.

1989 წლის 30 ნოემბრის ოქმი №14 გ9 საფუძ-  
ველზე გარდაბნის სახალხო დეპუტატთა საბჭოს  
აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვე-  
ტილება ღვთისმშობლის ეკლესიის აღდგენა-მშე-  
ნებლობისათვის, წყალთა მეურნეობის სამმართვე-  
ლოს მიმდებარე ეზოს 0.15 ჰექტარის ოდენობით

გამოყოფის შესახებ. ამასთანავე, ნება დაერთო გარდაბნის მართლმადიდებელ ქრისტიანთა რელიგიურ საზოგადოებას შემოწირულობებით აღედგინა ღვთისმშობლის ეკლესია და ეკლესიის პროექტი შეეთანხმებინა რაიონის მთავარ არქიტექტორთან.

საქართველო უძველესი დროიდან მაღალ-განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად ითვლება. ცნობილია, რომ ხელოვნური მორწყვის სისტემით იმთავითვე სარგებლობდნენ ჩვენში. ისტორიული და ლიტერატურული წყაროები ადასტურებენ, რომ მორწყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის ადრეული პერიოდიდან. ამის შესახებ დღემდე შემორჩენილი ხელოვნური არხების ნაგებობათა ძეგლები მეტყველებენ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა, რომ ყარაიაზის ველი გვიანდელი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. სოფლის მეურნეობის განვითარება თავისთავად მიგვანიშნებს ირიგაციის არსებობაზე. ამ დროის სარწყავი არხები მეტისმეტად პრიმიტიულია და მორწყვა ადგილობრივი წყლის რესურსებით ხდებოდა. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, რუსთავ-ყარაიაზის სარწყავი არხები, როგორც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ვარაუდობს, ჭანდარის (ჯანდარის) ტბამდე გაუმართავთ.

ისტორიული წერილობითი წყაროები „მოქცევად ქართლისაა“ და „ქართლის ცხოვრება“ რუსთავ-ყარაიაზის არხის გაყვანას იბერიის მეფე თრდატს მიაწერენ: „და მეფემან რუსთავისა რუი გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადგა“. ანალოგიურ ამბავს გვაუწყებს ლეონტი მროველი: „ხოლო მეფობდა ესე თრდატ მოხუცებული კეთილად, იყო კაცი მორწმუნე ბრძენი და გონიერი... ხოლო მან გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია“.

ისტორიკოსი ლევან ჭილაშვილი ქართული წყაროების ამ ცნობას შემდეგნაირად განმარტავს: მეფე თრდატს რუსთავ-ყარაიაზის არხი ან განუახლებია, ან მასზე დამატებითი სამუშაოები ჩაუტარებია. მისი აზრით, ტერმინი „გამოიღო“ ნიშნავს არა აშენებას, არამედ განახლებას.

აღნიშნულზე ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი „ვახტანგ VI ნაგებიდან გაიღო... რუ მტკვრისაგან და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორნი“. თუმცა ამ არხს დიდხანს არ უარსებია.

შემონახული ცნობების მიხედვით, მრავალი არხი ყოფილა გაყვანილი, მათ შორის ყარაიაზის არხი, რომელიც წყალს იღებდა მდინარე არაგვიდან, ვიდრე სოფელ ჭოპორტამდე. შემდეგში, გარეშე მტერთა შემოსევისას, სარწყავი სისტემები განადგურებულა და მათი ნანგრევებილაა შემორჩენილი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში კვლავ იწყება სარწყავი არხების აღდგენა. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის გარდაბნის სარწყავი სისტემები, რომელიც 1867 წელს გადაეცა საექსპლუატაციოდ და იმ დროისათვის ამიერკავკასიაში პირველი და ერთადერთი საინჟინრო სისტემა იყო.

ამავე პერიოდში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, სასულიერო დაწესებულებათა შემონირულობით აშენდა გარდაბნის სარწყავი სისტემის მეთაური ნაგებობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ღვთისმოსავი ქალბატონი, ვინმე მარიამი თევდორეს ასული, ამიტომაც მთლიანად არხს „მარიამის არხი“ ეწოდა.

შემდეგ კი გარდაბნის არხის მშენებლობის ტექნიკურ ხელმძღვანელობად მოწვეულნი იყვნენ უცხოელი ინჟინრები – ბელი და გაბა. 1862 წელს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით, ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გარდაბნის ველი საჩუქრად მიიღო. აღნიშნულ საზოგადოებას განზრახული პქონდა მიწების გასარწყავება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და სარწყავი სისტემა გაიყიდა.

1881 წელს ხსენებული სარწყავი სისტემა მიწათმფლობელთა საზოგადოებამ შეისყიდა და მისი მოვლა-პატრონობის მიზნით შეიქმნა „სამელიორაციო ამხანაგობა“. ამხანაგობის გაუქმების შემდეგ მისი



ეშვენის ადგილის დათვალიურება და კურთხუვა

14 ოქტომბერი, 1990 წ.



პატრიარქის დახვედრა გარდაბნის შემოსასვლელში.

16.08.1990



პირველი ბეტონი, ტაძრის საძირკველში. 16.08.1990



გაძრის საძირკვლის კურთხევა.  
შეაში გურამ ფირცხალაშვილი 16.08.1990



ტაძრის საძირკვლის კურთხევა.  
გარჯენივ თემურ ჩარქვიან 16.08.1990

ფუნქციები წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადაეცა.

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს იმ პერიოდში ბატონი ჯიმშერ ქაჯაია ხელმძღვანელობდა და ბუნებრივია, მშენებლობისათვის შერჩეული ადგილის გასათავისუფლებლად (მათ ბალანსზე რიცხული შენობის დასაწევებლად) სამმართველოს კოლეგის ნებართვა იყო საჭირო, რაც უმტკივნეულოდ მოგვარდა.

სიმბოლურია, რომ მარიამ თევდორეს ასულის სახელობის არხის სიახლოვეს, ღვთის ნებითა და ქრისტიანთა მონდომებით, წმიდა მარიამის შობის ეკლესია აღიმართა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გარდაბანში პირველად 1990 წლის 14 თებერვალს ჩამობრძანდა, დაათვალიერა შერჩეული ადგილი, ძალიან მოეწონა და მშენებლობისათვის აკურთხა.

მორწმუნებს ამასთანავე ურჩია, ამ ადგილზე სამთავისის ეკლესიის ანალოგი აშენებულიყო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მამა ღვთისო (შალიკაშვილი) როდესაც სიონის საკათედრო ტაძრიდან გარდაბანში ჩამობრძანდნენ, მგზავრობისას ისინი ბიბლიიდან სხვადასხვა კანონიკური ადგილების ციტირებას ახდენდნენ. ამ საუბრისას გამოიკვეთა ამ ღვთისმეტყველი ადამიანების

განსწავლულობა და სიბრძნისმეტყველება. გარდაბანს რომ მიუახლოვდნენ, უნმიდესმა და უნეტარესმა თურმე შემაღლებულ ადგილს მიაქცია ყურადღება. ეს ზუსტად ტაძრის აშენებისათვის შერჩეული ადგილი იყო. გახარებულმა პატრიარქმა მაშინ პრძანა: „ღვთისმმობელს არ ეჩქარება, ეს ის სიმაღლეა, სადაც ტაძარი აშენდებაო“.

კათოლიკოს-პატრიარქი გარდაბანში მეორედ 1990 წლის 16 აგვისტოს, ტაძრის საძირკველის კურთხევასთან დაკავშირებით ჩამობრძანდა.

უნმიდესმა და უნეტარესმა მამა ღვთისოსთან ერთად აკურთხა საძირკველი. მაშინვე დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ახლადაშენებული ტაძრისათვის მრევლი მოემზადებინათ და ქრისტიანული ცოდნა გაეზიარებინათ მათვის. დროა, მონათლული ხალხი გონიერადაც და სულიერადაც მომზადდეს ტაძარში სალოცავადო. ამიტომ ითხოვა, ჯვარი აღემართათ იმ ადგილას, სადაც მოძღვრები იქადაგებდნენ. აშენებულ ტაძარში ამიერიდან სულიერადაც გაძლიერებული მრევლი რომ შეკრებილიყო. უნმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ქალბატონმა მაყვალამ სრულიად გარდაბნის მოსახლეობასთან შესახვედრად და საქადაგებლად მოინვია მეუფე ანანია (ჭაფარიძე), მამა ღვთისო (შალიკაშვილი), მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე) და მეუფე დავითი (ჭკადუა). დიდი იყო ქალბატონ მაყ-

ვალას შრომაც და წუხილიც, დარღიც და ცრემლიც ამ მართლაც, ახალი სვეტიცხოვლის მშენებლობის პერიოდში, მაგრამ პატრიარქის ლოცვას და მხარდაჭერას გრძნობდა, რაც გადამწყვეტი იყო, რომ გამხნევებულიყო და ღვთის ძალა ეგრძნო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II შვიდი წლის განმავლობაში, ჩვეული სიმშვიდითა და სიბრძნით ანუგეშებდა და არწმუნებდა, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდებოდა.

უშურველი საღვთო ღვანწლი კეთილად სრულდება ხოლმე. როდესაც პატრიარქი ტაძრის საკურთხებლად მესამედ ჩამობრძანდა, 1992 წლის 4 ოქტომბერს, გზაში ტაძრის შესახებ ჩვეული სიდინჯით საუბრობდაო, იხსენებენ. მან ხომ მშენებლობის მიმდინარეობის ყოველი წვრილმანი უწყოდა. ასევე ტაძრის თითოეული ქვის ისტორიაც იცოდა და ტაძრის მშენებელი მუშების ვინაობაც, რადგან პატრიარქისათვის მნიშვნელოვანი იყო, თუ ვინ აშენებდა საუკუნის ტაძარს.

გარდაბნის შესასვლელიდან, როგორც კი ტაძრის გუმბათი გამოჩნდა, პატრიარქი თურმე ბავშვივით გაოცებულა და აღფრთოვანებულა. დიდი სიხარულის დამალვა არც მაშინ უცდია, როცა ახალი საკათედრო ტაძრის ზარები საზეიმოდ დააგუგუნდა.

ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი საქართველოს საპატრიარქოში წყდებოდა.

ამ დიდებული ჩანაფიქრის გამო იქ დიდი სჯა-ბაასი იმართებოდა. გარდაბნელთა ინიციატივას თუმცა იწონებდნენ, მაგრამ თავადაც ინტერესდებოდნენ, თუ რამდენად რეალური იყო ტაძრის აშენების იდეა და როცა წამოწყებული საქმე საიმედო ხელში დაიგულეს, მათი მომავალი საქმიანობა დალოცეს.

დამტკიცდა კომპლექსური პროექტი. მასში გათვალისწინებული იყო ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეკლესიათმშენებლობის საუკეთესო ტრადიციები. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძარს საფუძვლად სამთავისის ეკლესის არქიტექტურული მოდელი უდევს, მოცულობა კი გარკვეულწილად შემცირებულია.

ეკლესის მშენებლობისთვის გაიხსნა ანგარიში, გაკეთდა ეკლესის შტამპი და ბეჭედი. დაიწყო ზრუნვა დამფინანსებლების მოსაზიდად. ამ მიზნით მიმართავდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებს, ისინი კი შეძლებისდაგვარად თანხას რიცხავდნენ ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

ეკლესის ასაშენებელი ადგილის შერჩევა-გამოყოფა-დაკანონებაში დიდად გაისარჯა აღმას-კომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გურამ ფირცხალაიშვილი.

1989 წლის 9 აპრილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა გარდაბნელი ქართველიც. როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, აქაც ორმოცი დღე სამშობლოს

თავისუფლებას შენირულ ადამიანებს უნთებდნენ სანთლებს – სასუფევლის დამკვიდრების სიმბოლოდ. მათ სურათებთან მოჰქონდათ ცოცხალი ყვავილების გვირგვინები. აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხისადმი სამძიმრის სათქმელად პაქოელი ახალგაზრდები ჩამოვიდნენ და მიხაკებით შეამკეს გლოვის ადგილი. დაღუპულთა სულის მოსახსენებელ პანაშვიდებს ატარებდნენ ქაშვეთის წმიდა გიორგის ტაძრის მოძღვარი მამა ღვთისო და მამა ელიზბარი. ყოველ შაბათს, 4 საათზე, ტარდებოდა ნათლობები, აღევლინებოდა პარაკლისები, ინთებოდა წმიდა სანთლები მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სადიდებლად, დიდმოწამე სასწაულმოქმედ გიორგის ასამაღლებლად.

ქრისტიანულ დღესასწაულებს არ აკლდებოდნენ ღვთისმოსავი ადამიანები და წმიდა სალოცავში შემოწირულობები მოჰქონდათ: ნუნუ ხარაიშვილს, ნინო უგულავას, ჟუჟუნა ჩახმახიშვილს, ვალია ბელიაკოვას, ოთარ კუზანაშვილს, მერაბ უგულავას, გიორგი იმნაძეს, ჟუჟუნა დავითაშვილს, ზაზა ხარაიშვილს, ციური მარგიევს, ვეფხია კაპანაძეს, ბადრი გიგაურს და სხვებს.

ეკლესიის მშენებლობის საქმეში ქალბატონ მაყვალას მხარში ამოუდგნენ თანამშრომლები: დავით ლეკიშვილი, გედევან გოგნიაშვილი, თამაზ ბუდალაშვილი, ნანა გიგაური, მერი ხიდაშელი და სხვები.

და დადიოდა მხევალი ღვთისა, ქალბატონი მაყ-  
ვალა, რომ სახსრები გამოენახა და ეკლესიის მშენე-  
ბლობა არ გაჭიანურებულიყო. სასიხარულოა, რომ  
იყვნენ ადამიანები, რომლებსაც საქმისათვის თავი  
ჰქონდათ გადადებული, მათთვის არ არსებობდა  
გადაულახავი დაბრკოლებანი. აქვე ვიტყვით, რომ  
ძირითადი თანხები ცეკავშირის მაშინდელმა ხელ-  
მძღვანელობამ (თავმჯდომარე რესან კონცელიძე)  
და გარდაბნის კოოპერატიული ვაჭრობის ფონდმა  
გადარიცხა, თანხები გამოყო გარდაბნის რაიო-  
ნის აგროსამრეწველო გაერთიანების მეურნეო-  
ბათა უმრავლესობამ, პრეფექტურამ (პრეფექტი  
რევაზ ონიანი), თბილსრესმა (დირექტორი ზურაბ  
მინდელი) გარდაბნის ქართულმა საშუალო სკო-  
ლამ (დირექტორი თამაზ ქარსელაძე), გარდაბნის  
აკუმულატორის საწარმოომ (დირექტორი გოგი  
კაპანაძე), ვარკეთილის მეურნეობამ (დირექტორი  
ანზორ ახვლედიანი), რუსთავის მეტალურგიულმა  
ქარხანამ (დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი), რუს-  
თავის ადგილობრივმა მმართველობამ (თავმჯდო-  
მარე თემურ დალაქიშვილი). რუსთავის საწარმოო  
გაერთიანება „აზოტმა“, შემდგომში თანდათან  
გაიზარდა შემომწირველთა რიცხვი. სოლიდური  
თანხები გაიღეს მარნეულის პურ-პროდუქტების  
ბაზამ, ლილოს საკონსერვო ქარხანამ (დირექტორი  
ალექს თავართქილაძე), სამტრედიისა და ხონის

პრეფექტურამ (პრეფექტები ზვიად ძიძიგური და მერაბ კუხალაშვილი), კოოპერატივმა „ულევარი“ (დირექტორი სულიკო ფურცელაძე), ცალკეულმა მორნმუნეებმა. შემოწირული თანხები გროვდებოდა გარდაპნის აგროსამრეწველო ბანკში (მმართველი გიორგი წომიკურიძე, ეკონომისტი ლია წიკლაური) გახსნილ ანგარიშზე.

ღმერთი დალოცავს ყველას, ვინაც სიყვარული არ დააკლო და სიტყვითა და საქმით შეეწია ქრისტიანთა ახალი სალოცავის აღმართვას ძირძველ მიწაზე.

მაშინ ტაძრის აშენებისათვის გაღებული თითოეული მანეთი თუ აგური, ცემენტი თუ სპილენძი თავისთავად სასიხარულო იყო და ქალბატონი მაყვალა და მისი ოჯახის წევრები ამის შესახებ აცნობებდნენ უწმიდესსა და უნეტარესს. პატრიარქი დინჯად და ყურადღებით მოისმენდა და იზიარებდა მათ სიხარულს, თუმცა ძირისძირობამდე გამოიკითხავდა ყოველ წვრილმანს, ყურადღებას აქცევდა თითოეულ დეტალს. მაშინ უკვირდათ, მთავარი ხომ ტაძრის მშენებლობის დასრულება იყო; თუმცა გავიდა დრო და დღეს ცხადი და გასაგებია, ამ ტაძრისადმი პატრიარქის ინტერესი რატომ იყო ასე განსაკუთრებული. ამ სრულიად უნიკალურ ადგილზე აშენებული ტაძარი დასაბამს აძლევდა ახალ ეპოქას, დამოუკიდებელ საქართვე-

ლოს ქმნიდა. ამიტომ არც ისაა გასაკვირი, რატომ უწოდა ამ ტაძარს პატრიარქმა „მეოცე საუკუნის სვეტიცხოველი“.

საეკლესიო კომპლექსის პროექტის ავტორია არქიტექტორი გოგი სულაბერიძე, გუმბათის პროექტი ეკუთვნის მოქანდაკე დავით ჭურაძეს, დედალვთისმშობლის ხატის ესკიზი შექმნა გურამ მღებრიშვილმა, კანკელის ხატების ესკიზის ავტორია – გია ხელაძე, კანკელი მოპირკეთდა ტუფით. საგანგებოდ დამზადდა ეკლესიის ზარებიც, დიდი გემოვნებითა შესრულებული ჭალების, ბრებისა და შანდლების ესკიზები, შესასვლელი კარები.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით, შიგნიდან კი ქართული მარმარილოთი და ბაზალტით, გადახურულია ძვირფასი ფურცლოვანი სპილენძით, კედლები შელესილია თაბაშირით. ეკლესიის სადარბაზო ოთახი 315 კვადრატული მეტრია, 26 მეტრი სიმაღლის თაღითა და გუმბათით, ასევე გვერდითაა აშენებული 14 მეტრის სიმაღლის სამრეკლო.

საეკლესიო ხუროთმოძღვრების კანონის შესაბამისად, ეკლესიის კედლები ორი წლის შემდეგ მოიხატა, რომელიც დააფინანსა გარდაბნის რუბეროიდის ქარხანამ (დირექტორი ნიკოლოზ მალაკელიძე), მას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ სხვებიც. ეკლესია მოხატა ხატმნერმა მერაბ

ჩაკვეტაძემ, დავით ხიდაშელმა, მათ ეხმარებოდა გიორგი ანთაძე. მათ მიერაა მოხატული წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია რუსთავში, შობის ეკლესია თბილისში. „ჩემთვის ხატწერა ახალი სამყაროს აღმოჩენას ჰგავს, – ამბობს ბატონი მერაბი, – ეკლესიებში ფრესკების ხატვა უდიდეს სულიერ სიმშვიდეს მანიჭებს. ფრესკა, ჩემი აზრით, არის ღვთის სიტყვა, გადმოცემული ფერებსა და სახეებში“. სამრეკლო მოხატეს მერაბ ტატიშვილმა და გიორგი ხელაძემ. 21 სექტემბერს, ტაძრის დღესასწაულზე, აკურთხეს მოხატული გუმბათი და ტაძრის კედლები.

აღსანიშნავია, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძარი მონასტრად აკურთხა და პირველ წინამძღვრად დადგინდა მამა ილარიონი, რომლის შემდეგ მოღვაწეობდა მამა ანტონი, მორჩილი მამა ბართლომე და სხვა მოძღვრები.

1994 წლიდან ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენს მამა ზურაბი (ხაჩიძე). იგი აფხაზეთიდანაა. თავიდან გუდაუთაში მსახურობდა, შემდეგ აგუძერაში, მერე კვლავ გუდაუთაში დაბრუნდა. აფხაზი მოძღვრის დახმარებით სამშვიდობოს გამოაღწია და მადლობას სწირავს უფალს, რომ გარდაბნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში აღავლენს უფლის სადიდებელს.

2015 წლის იანვრიდან გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქიის ეპისკოპოსია მეუფე იოანე (შომახია).

საყოველთაო ზეიმი იყო 1990 წლის 1 აპრილი – ჯვრის გადმობრძანება სიონის ტაძრიდან გარდაბანში. კვირა დილით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II წირვის დაწყებამდე იქადაგა, აკურთხა ჯვარი, ასევე მაცხოვრისა და წმიდა გიორგის ხატები, რომელიც ეკლესიას შესწირეს მარინე, ნინო და მერაბ უგულავებმა.

ჯვრისა და ხატების წამოსაბრძანებლად სიონში ჩამოვიდა გარდაბნის მოსახლეობა. ორთაჭალა-მდე ჯვარი ფეხით ჩამოაბრძანეს, ორთაჭალი-დან გარდაბნის შემოსასვლელამდე მანქანით, შემოსასვლელიდან ეკლესიაში ფეხით შეაბრძანეს და იმ ადგილზე აღმართეს, სადაც ეკლესია უნდა აშენებულიყო.

ჯვარი გამოაქანდაკა ნიკო მელიქიძემ. იგი დამზადებულია მაკაგონის ხისაგან, ორნამენტირებულია და 90 კგ-ს იწონის. ზარები ჩამოსხმულია საგურამოში.

ჯვრის მობრძანებისას ამ ადგილზე წირვა ჩაატარა ქაშვეთის მოძღვარმა მამა ლვთისო (შალი-კაშვილმა). ჯვრის ჩამობრძანება გარდაბნელებს მიუღლოცა რაიკომის პირველმა მდივანმა ბატონმა ოთარ ბოკერიამ.

მაყვალა კიკაბიძის ოჯახმა ეკლესიას შესწირა 3 ზარი (ერთი დედო ზარი, 2 საშუალო), ასევე ხის ჯვარი, ხატები, შანდლები. უფლისა და სარწმუნოებისადმი სიყვარული აძლიერებს ქალბატონ მაყვალას ოჯახს. ღმერთია მათი შემწე და მფარველი.

ეკლესიის მშენებლობისას კანონიკური წესების დაცვას თვალყურს ადევნებდა პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე). სწორედ მან აკურთხა გუმბათის სპილენძის ჯვარი და გადაიხადა ღვთისმშობლის პარაკლისი. ჯვრის კურთხევა დაემთხვა მშენებლობის დაწყებიდან ორ წლისთავს და ჯვრის თაყვანისცემის კვირას.

საქართველოს ტელევიზიისადმი მიცემულ ინტერვიუში მეუფე კონსტანტინე ბრძანებდა: „გუმბათზე აღმართული ჯვარი ქრისტეს უძლეველობაზე მეტყველებს. ჯვარი ნიშანსვეტია უფლის სახლისა. კაცობრიობისთვის ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა ჯვრით დაამარცხა სიკვდილი და აღდგა, როგორც მარადიული მეუფე ყოველთა ხილულთა და უხილავთა.

ჯვრის ძალით განასხამს ქრისტიანი ეშმაკთა, ჯვრის ძალის რწმენით ხდება ახალი ანუ სულიერი დაბადება მორწმუნისა. ჯვრის ძალამ დაიფაროს ეს ტაძარი, ეს მხარე და სრულიად საქართველო“.



მშენებლობის პროცესი



ჯვრის გადმობრძანება სიონის ტაძრიდან  
გარდაპანში. 01.04.1990



პეტრის გადმობრძანება. მყვალა კიკაბიძე (ზუაში),  
თთა ბოკერია (მარჯვნივ). 01.04.1990



ՀՅՌՈՍ ՀԱՇԹՈՅՑԻՆԱԿԵՐԸ. ՁԱՅՆ ԸՑՉՈՒՄԾ. 01.04.1990

ქალბატონ მაყვალას ყველაზე უკეთ მაინც მეუფე კონსტანტინესადმი მიწერილი წერილი ახა-სიათებს:

„ბავშვობიდან ლვთის მოყვარული ვიყავი, რწმე-ნით აღვზარდე შვილებიც. უფროსი ქალიშვილი მარინე უგულავა ლვთისმეტყველებას ასწავლის გარდაბნის ქართულ სკოლაში. მისი მოსწავლეები გულისყურით ეცნობიან ბიბლიას, წირვა-ლოცვისა და რელიგიური დღესასწაულების არსს, რომელიც 70 წელიწადი იკრძალებოდა. უმცროსმა გოგონამ, ნინომ, ხუცურის ცოდნაში მაჯობა. ახალგახსნილ ეკლესიაში მედავითნეა და ასე მეხმარება. 1983 წელს გარდაბანში ეკლესიის ასაშენებლად შემწეო-ბა ვთხოვე საქართველოს საპატრიარქოს, მაგრამ ეს მაშინ შეუძლებელი აღმოჩნდა. გული მაინც არ გამიტეხავს, სამსახურში შევიწროებას და ათას სხვა წინააღმდეგობას არ დავუღლივარ, მახსოვს პატრიარქის დარიგებები და რჩევები, როგორ გვამზადებდა ტაძრის მშენებლობისათვის და შემ-დეგ მრევლს როგორ ამზადებდა ახალაშენებულ ტაძარში წირვა-ლოცვისათვის. მხნეობას მმატებდა და მამშვიდებდა თქვენი საუბრები და რჩევები მეუფეო.

1989 წელს შევიძინეთ სამლოცველო სახლი, გავხსენით ანგარიში, სადაც ძალიან ბევრმა ორგა-ნიზაციამ გადმოგვირიცხა გარკვეული თანხა. გან-

საკუთრებით ამოგვიდგა მხარში აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გურამ ფირცხალაიშვილი“.

2002 წელს, როცა ქალბატონმა მაყვალამ ზესტაფონში მოინახულა მეუფე კონსტანტინე, იგი უკვე უძლურებაში იყო. მას ძალიან გაუხარდა მაყვალას ნახვა და მოისურვა წერილობით დაელოცა ტაძრის მშენებელნი და სრულიად საქართველო:

„1987 წელს, ჩემთან თხოვნით მოვიდა გარდაბნელი ღვთისმოსავი ქალბატონი მაყვალა კიკაბიძე, რათა აღგვეძრა შუამდგომლობა რელიგიის საქმეთა რწმუნებულთან ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების შესახებ.

მოთხოვნა მორწმუნეთა ხელმოწერით გაგზავნილ იქნა მოსკოვში, საიდანაც, 1989 წელს მოვიდა დადებითი პასუხი.



მეუფე კონსტანტინე

1990 წელს პირველად მოვინახულე ტაძრის მშენებლობისათვის განკუთვნილი ადგილი და ვილოცეთ. შემდეგ ხშირად ჩავდიოდი და თვალყურს ვადევნებდი მშენებლობის მიმდინა-

რეობას. მამა სოგრატთან ერთად ვიხდიდით პარაკლისს. მშენებლობის მომენტში ვაკურთხე ეკლესის გუმბათზე დადგმული ჯვარი.

ამჟამად, ქალბატონ მაყვალას ინიციატივით, გარდაპნის რაიონის სოფელ ვახტანგისში შენდება წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც ვაკურთხე 1993 წელს.

ღმერთმა დალოცოს ტაძრის მშენებელნი, ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო“.

### მარტინ მარტინის მშენებლის შობის დღე

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესი-ის მშენებლობაში გარდაპნის აღმასკომის თა-ვმჯდომარის პირველი მოადგილის, ბატონ გურამ ფირცხალაიშვილის ინიციატივით მშენებლობის დაწყების დღიდან იღვწოდნენ „საქსოფლმშენი“ და მისი მესვეური დემურ კოვზირიძე, №1 ტრესტის მმართველი თემურ ჩარკვიანი, 37-ე მოძრავ-მე-ქანიზებული კოლონა (უფროსი იური ჭოლოკავა), სამუშაოების მნარმოებელი გიორგი კობერიძე და რიგითი მშენებლები. მშენებლებს აღაფრთოვანებ-დათ ეს კეთილშობილური მისია – საქართველოს უძველეს მინაზე მათ მიერ აშენებული ტაძარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქნებოდა სულის საოხი. მშენებლობაზე ერთმანეთის გვერდით იდგ-

ნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვადასხვა ეროვნების მორწმუნები: ბერძნები, სომხები, ასირიელები, აზერბაიჯანლები, რომლებიც ენთუზიაზმით შრომობდნენ და თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ტაძრის მშენებლობის საქმეში. მშენებლებს სულიერად ამხევებდნენ და კონსულტაციებით შეეწეოდნენ მეუფე ანანია (ჯაფარიძე), მეუფე დავითი (მახარაძე), მამა ბესარიონი (მენაბდე) და არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის ნახვა აღაფრთოვანებდათ სხვადასხვა ქვეყნის პატრიარქებს, ბელგიის, შვეიცარიისა და საბერძნეთის მიტროპოლიტებს, საზოგადო მოღვაწეებს. როდესაც ეს ტაძარი ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა, ბატონმა გივი ზალდასტანიშვილმა მოინახულა, თვალცრემლიანმა აღნიშნა: „ვნანობ, რომ ინტერვიუ ამ ტაძრის ნახვამდე მივეცი, რადგან საქართველოზე სულ სხვანაირად ვისაუბრებდიო“.

მაყვალა კიკაბიძემ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიის დასრულების შემდეგ, ღვთის შენევნით, ააშენა წმიდა ნიკოლოზის ეკლესია საზღვრისპირა სოფელ ვახტანგისში, რომლის წინამდღვარია მამა ნეოფიტე (უროტაძე). ამ ეკლესიის პროექტის ავტორია რევაზ ჯანაშია. ეკლესიის საძირკველს ჯვრის ფორმა აქვს, ქალბატონი მაყ-

ვალას ორგანიზატორობითა და რწმენის ერთგული კაცების თაოსნობით ამ ეკლესის მშენებლობაც დასრულდა. ამ საქმეში უდიდესი ღვანლი მიუძღვის ბატონ დავით ნადაშვილს, იმხანად გარდაბნის გამგებელს.

„ტაძრის მშენებლობის მადლს და სიდიადეს მხოლოდ უფალი ხედავს. მადლობა უფალს, რომ ღირსი გაგვხადა ამ ტაძრის მშენებლობისა. ღმერთმა შეუწიროს თითოეულ მონაწილესა და შემომწირველს“, – ილოცება ქალბატონი მაყვალა და უფალს სთხოვს, ჭეშმარიტი რწმენით გაგვაძლიეროს კეთილი საქმეების საკეთებლად.

ყოვლადწმიდა მარიამის შობის ეკლესიაში ყოველი დილა ღვთისმშობლის კონდაკის კითხვით იწყება:

„უფროსად დიდებულო და მარადის ქალწულო დედაო ქრისტეს ღვთისაო, შესწირე ლოცვა ჩვენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა აცხოვნოს სულნი ჩვენი.

ყოველი სასოება ჩემი შენზედა დამიძს, დედაო ღვთისაო, დამიფარე მე საფარველსა ქვეშე შენსა.

სასოება ჩემდა მამა, შესავედრებელად ჩემდა ძე, მფარველად ჩემდა სულიწმიდა, სამებაო წმიდაო, დიდება შენდა.

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ. ყოვლად-უბინოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა

სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ლვთისასა, მხოლოსა ლვთისმშობელსა გალობით გადი-დებდეთ.

განანათლენ თვალი ჩემნი, ქრისტე ღმერთო, ნუ-უკუე დავიძინო და სიკვდიდ, ნუ სადა სოქვას მტერმან ჩემმან: მრე ვეყავ მას.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

შემწე სულისა ჩემისა იქმენ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ შორის საფრთხესა მრავალსა ვვალ, მიხსენ მათგან და მაცხოვნე მე, ვითარცა სახიერმან და ვი-თარცა კაცომოყვარემან.

ანდა და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლად დიდებულო დედაო ლვთისაო და წმიდათა ანგელოზთა უწმიდესო, დაუდუმებელად გადიდებთ გულითა და პირითა, და ლვთისმშობლად აღგიარებთ შენ, რამეთუ ჭეშმარიტად გვიშევ ჩვენ ღმერთი ხორ-ცითა და მეოს ხარ მარადის სულთა ჩვენთათვის.“

ეკლესიის ზარის ყოველი შემოკვრა კი გვამ-ცნობს, რომ ყოვლადწმიდა ლვთისმშობლის შო-ბის საკათედრო ეკლესიამ, რომელიც გარდაბანში დაესრულა, დიდი როლი უნდა შეასრულოს ქვეყ-ნის აღორძინების, ერის გამთლიანებისა და მისი სულიერი და მორალური განწმენდის საქმეში.



გურამ ფირცხალაიშვილი

# დარიალი

# საქამიტო



ჩემი სატა საზობლოთ,  
სხატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მთავრობის განხილვა

„LITERATURULI SAKARTVELO“


«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»

საქართველოს მთავრობის განხილვა

საქართველოს მთავრობის განხილვა

საქართველოს მთავრობის განხილვა

საქართველოს მთავრობის განხილვა



ორსო წელიწადი, საქართველოს მთავრობის ამ შემცირების  
ტაძრი არ უკირდა!

კვირა, 4 მდგრადი, 10 სამართლის განხილვა

სრულად საჭიროებული კონკრეტული და  
უკეთესი იღვა მეორე დალიკაჟს გარდანის დღი დეკომინი-  
ცის შიბის კულტის, რომელიც აღმასში დაისტევდა.

## რომელის ადამიანები

„უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა...  
დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს“

**ილია მართალი**

რელიგიური მსოფლგანცდა მსჯვალავს ნების-მიერი ცივილიზაციას და, ცხადია, მსოფლიოში არ არსებობს კულტურა რელიგიური საფუძვლების გარეშე. მეტიც; ესა თუ ის რელიგიური აღმსარებლობა მნიშვნელოვნად აპირობებს და საზღვრავს თვით არარელიგიური, ან ნაკლებადრელიგიური ცივილიზაციების სახეს. თვალის გადავლებაც ცხა-დყოფს, თუ რომელ რელიგიაში უდგას ფესვები კულტურისა და მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულებას, თუნდაც – უკიდურესად ათეისტურს. ამის მაგალითია ე. წ. საბჭოთა კულტურაც, მსოფლ-მხედველობრივად იგი მატერიალისტური და მარ-ქსისტული იყო, მაგრამ მის ზედაპირზეც განირჩეოდა ქრისტიანული ნაკადი მუსლიმანურისაგან, მუსლიმანური – ბუდისტურისაგან და ა. შ. ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას რელიგიური საფუძვლები გააჩნია. ქართული კულტურა რელიგიური კულ-ტურაა, ანუ ქრისტიანული კულტურაა. ზოგადი,

უფრო სწორად – ერთბაშადი კულტურა არ არსებობს. არსებობს ამა თუ იმ ერის, რასის მიერ შექმნილი ცივილიზაცია, რაღაც ნიშნითა და სპეციფიკით რომ გამოირჩევა სხვა ცივილიზაციისაგან. ქართული კულტურა ძირითადად გულისხმობს ქართულენოვან შემოქმედებას. ეს კულტურა იქმნება და ყალიბდება საქართველოს სახელმწიფო ბრიობის წიაღში. უკანასკნელი ფართო ცნებაა და მოცავს მრავალ ასპექტს. პირველ რიგში – ქართულ ცნობიერებას, ქართველობის განცდას. დედაენას ამ შემთხვევაში ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უმთავრესია პიროვნების ცნობიერებაში არეკლილი ეროვნული ფესვები და მემკვიდრეობა. ესაა, - ქართველობის განცდა – ქართული სინდისი და სინდისში ჩანერგილი მამულიშვილობა. ამგვარი მამულიშვილობა ქართველთა შორის, ცხადია, არსებობდა მე-4 საუკუნეებეც, საუბარია არაქრისტიანულ საქართველოზე და არსებობს დღესაც, მაგრამ სპეციფიკურად ქართული კულტურა, რის წყალობითაც ჩვენი ერი წარმოდგენილია დამოუკიდებელ ერთეულად და ინდივიდუალ, არის ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნაყოფი.

ქართული კულტურის უმთავრეს იმპულსად მოიაზრება ჯვრისა და ხატის თაყვანისმცემელი რელიგია. რამდენადაც მიგვიწვდება თვალი ჩვე-

ნი ქვეყნის ისტორიის ვრცელ გზაზე, სწორედ ეს რელიგია ასაზრდოებს ქართველთა შემოქმედებით პოტენციალს და განსაზღვრავს მის თვითმყოფა-დობას.

ამაზე ბევრი ითქვა და დაინტერა ე. წ. „გარდა-ქმნის“ ხანაშიც. განსაკუთრებით 9 აპრილის შემ-დეგ, როდესაც ჩვენში ანტიკომუნისტური ტალღა აზვირთდა. ამ ტალღამ საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. მათ შორის თვით კომუნისტები (უფრო სწორად, სკპ-ს წევრები). ისინი დაუპირისპირდ-ნენ სახელმწიფო, ოფიციალურად სახელდებულ იდეოლოგიას და ერთ-ერთ ბერკეტად რელიგიური პათოსი მოიმარჯვეს. რაც, შორს იყო და არის ჭეშ-მარიტი, წიგნიერი, სარწმუნო რელიგიისა და რელი-გიურობისაგან. მოხდა სამწუხარო ფაქტი: ჩვენში ფეხი გაიდგა სარწმუნოების ფოლკლორულმა და ზედაპირულმა ცოდნამ. დაიწყო პროფანაცია გა-მოთქმისა „ჩვენთან არს ღმერთი“! იგი გადაიქცა სამიტინგო ლოზუნგად, ხანდახან კი ფუჭ და ყალბ სიტყვებად.

სიტყვა რელიგია კულტურული ერების მეტყვე-ლებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტერ-მინია. ამ სახელწოდებით მოიაზრება ადამიანის ცნობიერების გარკვეული მდგომარეობა: აღმატე-ბული და ზებუნებრივი რეალობის განცდა, უხილა-ვისა და დაფარულის რწმენა, ყოველგვარი ღვთისმ-

სახურება ანუ საიდუმლო, მისტიური, საკრალური ქმედებანი. ტერმინი „რელიგია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „religio“, რაც ნიშნავს ხელახლ კავშირს ანუ კავშირის განახლებას, აღდგენას; ცნება „რელიგიის“ გამოსახატავად ჩვენს ენას არაერთი სიტყვა მოეპოვება. ძველ ქართულში იხმარებოდა ტერმინები: მსახურება, ღვთისმასახურება, ღვთისმოშიშება, აღსარება, სარწმუნოება, მართლმორწმუნეობა, ეს ტერმინები ასაჩინოებენ რელიგიის საკულტო (თაყვანისცემით) მხარეს და მიანიშნებენ ადამიანის მოვალეობაზე ღვთის წინაშე, კაცთა მოდგმის ბუნებრივ მოთხოვნილებაზე – მოვიმუშაკოთ მიზეზთა მიზეზისა და უზენაესი გამგებლის სათნო და საკადრისი საქმე; აღვავლინოთ ქება-დიდება მისადმი, ვისგანაც ველით წყალობას. ენაში ამ სიტყვის არსებობა ცხადყოფს, რომ ადამიანის მეხსიერებაში არ წაშლილა ხსოვნა ოდესლაც ღმერთთან ერთად ცხოვრებაზე, მასთან უშუალო კავშირზე, სამოთხეზე. წუთისოფელში კი აღნიშნული კავშირი დარღვეულია, ამ ქვეყანასა და იმქვეყანას, ღმერთსა და ადამიანს შორის ბზარია, ხიდია ჩატეხილი, რასაც ცნობიერად ყველა ადამიანი გრძნობს და განიცდის, ეძიებს, ილია ჭავჭავაძეს თქმით, „ტივს“ ხიდის გასამთელებლად და კავშირის აღსადგენად.

არსებობდა თუ არა ოდესმე საზოგადოება რელიგიის გარეშე? ცნობილია ადამიანურობის ხუთი ძირითადი ნიშანი ე. წ. მახასიათებელი ანუ განზომილება, მათ გარეშე ორფეხა, ვერტიკალურად მავალი და მეტყველი არსება ადამიანად ვერ ჩაითვლება. ისინი ქმნიან ადამიანს ადამიანად და საზოგადოებას საზოგადოებად, სულდგმულს პიროვნებად და ჯოგს – კოლექტივად – ადამიანი ცხოველისგან განსხვავდება იმით, რომ არის იარაღის მკეთებელი; გონიერი; მორალური; საზოგადოებრივი და რელიგიური ანუ მორნმუნე. ამ მახასიათებლებიდან ამა თუ იმ პიროვნებისათვის ზოგი მეტადაა ნიშანდობლივი, ზოგი – ნაკლებად, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, მით უფრო საზოგადოება, მათგან ერთიც რომ აკლდეს. ეს ნიშნები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული; ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს აპირობებენ და ხელს უწყობენ ერთმეორის განვითარებას, დახვენას, ურთიერთპროგრესს. ამას ადასტურებს ისტორია, კონკრეტულად კი – კერძო ადამიანის ცხოვრება. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს ბუნებრივად ის ფაქტი, რომ იარაღის კეთება თუ ნებისმიერი შემოქმედებითი აქტი, თავისთავად გულისხმობს აზროვნებას, მორალს, საზოგადოებრიობას და მსოფლმხედველობას, მსოფლიო განცდას, რელიგიურობას. ცხადია, რომ რელიგიური განცდები და ოცნება-წარმოდგენები

ცხოვრების ორგანული ნაწილია. ადამიანი რელი-  
გიურია მუდამ და ყველგან, რასაც ადასტურებს  
არქეოლოგია, საისტორიო წყაროები, მატერიალუ-  
რი და ლიტერატურული ძეგლები. ეთნოგრაფია არ  
იცნობს ისეთ საზოგადოებას, თავისუფალი რომ  
იყოს რწმენის ამა თუ იმ, თუნდაც უმარტივესი  
ფორმისაგან. ეს არცაა გასაკვირი, რწმენის იმპულ-  
სი იმთავითვეა ჩანერგილი პიროვნების სულში და  
ვლინდება ყოფიერების ნებისმიერ უბანზე. სწორედ  
ამ იმპულსის შედეგია ადამიანის უნარი, როგორც  
სულის აქტივობის შედეგი, რომ გაიაროს მიწიერი  
გარსი, გააღწიოს ხილული სამყაროს ფარგლებს  
გარეთ, იხილოს და განიცადოს მიღმიერი სამყა-  
რო, ანუ აღმოაჩინოს რელიგიური ფასეულობა და  
ჭეშმარიტებანი. ამ იმპულსს ბაზისის მნიშვნელობა  
ენიჭება რელიგიურ ცნობიერებაში. მისი წყალობით  
ადამიანს შეუძლია შეაფასოს საკუთარი ფიქრი და  
ქცევა არა მხოლოდ როგორც მორალურმა, არამედ  
როგორც რელიგიურმა არსებამაც. ამრიგად, ადა-  
მიანი არის არა მხოლოდ მოქმედების კაცი, აზრის  
კაცი, ზნეობრივი კაცი და საზოგადოების კაცი,  
არამედ რწმენის კაცი, რომელიც თავის მოქმედე-  
ბასა და აზროვნებაში ხელმძღვანელობს ღვთაე-  
ბრივი კრიტერიუმებით.

ქრისტიანობა ქართველი ერის გონებრივი და  
საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი მამო-

ძრავებელი ძალაა, ცხოვრების ყველა სფეროში შეიმჩნევა მისი ზეგავლენა. საქართველოში დიდებული წარსულის უტყვი მოწმე მრავალი ძეგლია შემორჩენილი. უფლის სიყვარულით აშენებდა ჩვენი წინაპარი ეკლესია-მონასტრებსა და სამლოცველოებს. სწორედ მათში იყო განივთებული ის სულიერი სამყარო, რომელიც ქართულმა გენმა შეისისხლხორცა ქრისტიანობასთან ერთად.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ ტაძრებს ქართველი კაცის სული უდგას. ამიტომაც ცდილობდა მის განადგურებას მტერი. მტარვალის მიზანი ერთი გახლდათ – ჩაეკლა ქართველის სულში ეროვნული თვითშეგნება-თავმოყვარეობის გრძნობა, ეროვნული სარწმუნოების ერთგულება. მტერს სჯეროდა, რომ დაბეჩავებული, სარწმუნოებადაკარგული ქართველი ადვილად დასაჩინქებელი იქნებოდა. ამიტომაც ცდილობდა ყველა დამპყრობი ქართული სულიერი საგანძურის განადგურებას, მოსპობას, გაჩანაგება-გაპარტახებას.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ეს, რათა პატივი სცეს სამშობლოს წარსულს, ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების გზით იღვანოს ქვეყნის კეთილდღეობისა და განახლებისათვის.

დედალვოთისმშობლის შობის ეკლესის მშენებლობის შესახებ მოგვითხრობენ რწმენის კაცები, სასულიერო და საერო პირები.

## მამა სოგრატი (ჭულუხაძე)



ჯერ კიდევ მაშინ, როცა მრევლი ეკლესიური ცხოვრებისაგან შორს იდგა და ეკლესიაში სიარულიც კი ეკრძალებოდა, გავიცანი ღვთისმოსავი ქალბატონი მაყვალა კიკაბიძე. ერთხელ მან მთხოვა, გარდაბანში გავყოლოდი საკუთარი სახლის საკურთხებლად. როცა მანქანით ჩავუარეთ ქალაქის ცენტრში ერთ ამაღლებულ ადგილს, ისეთი მადლი ვიგრძენი, რომლის გამოთქმაც კი მიჭირს. ქალბატონ მაყვალას ვთხოვე და მან ეს ადგილი დამათვალიერებინა. იქ შენობის ნაშთი აღმოჩნდა, მთელი კედელი იყო მიწაში. როცა ვიკითხე, აქ რა იდგა-მეთქი, ვერავინ მიპასუხა. მაშინვე ვთქვი, ამ ადგილას დიდი მადლი ტრიალებს და კარგია, თუ ეკლესია აშენდება-მეთქი.

გავიდა დრო. ქალბატონი მაყვალა ქაშვეთის ტაძარში მოვიდა და მითხრა, იმ ადგილზე ეკლესიის აშენება გადავწყვიტე და თქვენი ლოცვა-კურთხევა გვინდაო. მე ვუპასუხე, შენ შეძლებ-მეთქი? კომუნისტური წყობის დროს წარმოუდგენელი იყო ეკლესიის აშენებაზე ფიქრიც კი. მაგრამ ალბათ, შინაგანმა ხმამ თუ მიკარნახა. მაშინ, როცა არავინ ელოდა, აშენდა ეკლესია და დღეს ადამიანი

იფიქრებს, საუკუნეების წინ არის აშენებულიო. მშენებლობის პერიოდში მიტროპოლიტ კონსტანტინესთან ერთად ვლოცულობდი, ვაკურთხებდი იქაურობას. ტაძრის გახსნისას, ვიყავი თანამწირველი პატრიარქთან ერთად.

ძალიან მოხარული ვარ, რომ გარდაბანში არსებობს დედალვთისმშობლის ეკლესია. რადგან პირადად ჩვენი გვარის (ჭულუხაძე) სალოცავი არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი.

### მამა ღვთისო (შალიკაშვილი)

ქალბატონ მაყვალას დიდი ხანია ვიცნობ. როცა მან მაუწყა, რომ გარდაბანში დედალვთისმშობლის შობის ეკლესიის აშენების სურვილი გაუჩნდა, მე ეს ღვთის ნებად მივიჩნიე და სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, ხშირად ვიხდიდი პარაკლისს.



შემდეგ გარდაბანში გახსნეს 9 აპრილის მემორიალი, რომელიც ასევე ვაკურთხე. მშენებლობის დაწყების შემდეგ ხშირად ჩავდიოდი იქ ქალბატონ მაყვალასთან ერთად. შევხვდი რაიკომის მაშინდელ

პირველ მდივანს, ოთარ ბოკერიას. ღმერთი უშველის ამ ადამიანს, რადგან ძალიან დაგვეხმარა ორგანიზაციული საკითხის მოგვარებაში. თავდაპირველად ამ დიდებული ტაძრის ადგილას აშენდა ხის ეკლესია, სადაც მრევლი ლოცულობდა. ორი წლის პერიოდში ყოველ კვირას მიმყავდა ქაშვეთის ეკლესიის გუნდი და ვიხდიდით პარაკლისს. ტაძრის მშენებლობის განმავლობაში ვიყავი ამ ტაძრის წინამძღვარი. იყო ხელისშემსლელი პირობებიც, წინააღმდეგობებიც, ფინანსური გაჭირვებაც, მაგრამ ღვთის შეწევნითა და დახმარებით, ქალბატონ მაყვალას აქტიური მონაწილეობით, ტაძრის მშენებლობა მაინც დასრულდა და მივიღეთ სამთავისის ტიპის, ზომებში ოდნავ განსხვავებული ტაძარი, რომლის მსგავსი საქართველოში 200 წელია არ აშენებულა.

კომუნისტური იდეოლოგიის პერიოდი იყო და მოგეხსენებათ, ისინი მოსვლის პირველი დღიდანვე დაუპირისპირდნენ ღმერთს, რწმენას, არავინ ელოდა და არც არავის სჯეროდა, რომ ტაძრის აშენება შესაძლებელი იყო, მაგრამ 9 აპრილის შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების ძალა შესუსტდა და წინააღმდეგობას უკვე ვეღარ ბედავდნენ.

ღმერთმა შეუწიროს ყველას ამ ტაძრის აშენებისათვის განეული ღვანლი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დაიფაროს სრულიად საქართველო!

## დეკანოზი ელიზბარი (ოდიშვილი)

საქართველოს ეკლესიაში 1978 წელს მოვედი. 1979 წელს მაკურთხეს დიაკონად სიონის საკათედრო ტაძარში. 1980 წლიდან ვიყავი ქაშვეთის მღვდელმსახური და მევალეობოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაცია. თუ სადმე ახალი ეკლესია აშენდებოდა (რაც მაშინ წარმოუდგენელი იყო), მისი ლოცვა-კურთხევა პატრიარქთან ერთად. ღვთის შენებით ვეძებდი ადამიანებს, რომლებიც გვერდით დამიდგებოდნენ. მოგეხსენებათ, მაშინ თავისუფლად არავინ გვიხსნიდა დაკეტილ ეკლესიას და ახლის აშენების ნება ხომ წარმოუდგენელი იყო. ძველი ეკლესიაც რომ გაგვეხსნა, საჭირო იყო ოცი ადამიანის ხელმოწერილი თხოვნა გაგვეგზავნა საკავშირო რელიგიის სამინისტროში; იქედან პასუხი ეგზავნებოდა საქართველოს რელიგიის საბჭოს, სადაც დაგიბარებდნენ და კარგადაც „დაგამუშავებდნენ“, რატომ ქადაგებო.

გავიცანი ეკლესიური ოჯახი გარდაბნიდან, რომელიც ქაშვეთის ეკლესიის მრევლი იყო; ამ ოჯახის შვილები მარინე, ნინო და მერაბი ჩემი სულიერი შვილები იყვნენ. მე ხშირად ჩავდიოდი გარდაბან-



ში, პარაკლისებს აღვავლენდი და ვლოცულობდი სამლოცველო სახლში, რომელიც ეკლესიად იყო მოწყობილი. აქ ვნათლავდი კიდეც. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ სრულდებოდა. აქედან დაიწყო ამ ოჯახის სულიერი გაძლიერებაც, რასაც მოჰყვა ნება ღვთისა, რომ სწორედ ეს ოჯახი ყოფილიყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების ინიციატორი.

1990-92 წლებში გლდანში აშენდა წმიდა გიორგის ეკლესია, რომელსაც წინამძღვრად ვედექი. ეკლესიის გახსნისას იქ ჯვარი დაიწერეს მარინა უგულავამ და კახა ყურაშვილმა.

შემდეგ უფრო გაძლიერდნენ ჩემი სულიერი შვილები. უფალმა კურთხევა არ დააკლო მათ ოჯახს და ის დიდი მადლი გარდმოუვლინა, რომ შეაძლებინა გარდაბანში დიდებული საკათედრო ტაძრის აშენება. ეს რჩეულთა ხვედრია, ყველა ამას ვერ შეძლებდა და მითუმეტეს, იმ დროს.

უფალმა დალოცოს მაყვალა კიკაბიძის შვილები და შვილიშვილები: მარიამ და გიორგი ყურაშვილები; ანა, ნანა და ნიკოლოზ ზარანდიები; ბარბარე და რევაზ უგულავები.

უფალმა დალოცოს ტაძრის მშენებელნი და ნაყოფის შემომწირველნი.

ღმერთი იყოს ყველას მფარველი!

## მამა ზურაბი (ხაჩიძე)

მღვდლად 1988 წელს ვიკურთხე. ხუთი წელი რუსულად აღვავლენდი წირვა-ლოცვას გუდაუთაში, შემდეგ კი სოჭში. აფხაზეთის შემდეგ ვმსახურობდი ღვთისმშობლის საფარველის, კვართის ტაძარში. 1994 წელს პატრიარქმა დამიბარა და მითხვა, რთულ უბნებს მიჩვეული ხართ და გარდაბანში ხომ არ გინდათ მსახურებაო. ოთხი მცირენლოვანი შვილი მყავდა, ეკლესიას კი საცხოვრებელი სახლიც ჰქონდა, ამიტომ დავთანხმდი პატრიარქს და მისი კურთხევით დავინცე მსახურება. მახსოვს, იმ წელს სააღდგომო წირვას ხუთი ადამიანი ესწრებოდა, ორი ქართველი, რუსი და ბერძნები. მე კი დიდ მრევლს ვიყავი მიჩვეული გუდაუთაში, მაგრამ დიდება უფალს, ერთ წელიწადში გაივსო ეკლესია მრევლით და ასე გრძელდება მსახურება დღემდე. ამ ხნის განმავლობაში უწმიდესი სამჯერ გვესტუმრა, ასევე სტუმრად გვყავდა სერბეთის პატრიარქი, მათ წირვა დააყენეს და ეს იყო სულის მაამებელი საათები გარდაბნელი მრევლისათვის.

ღვთისმშობლის შობის ტაძარი არის გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქიის საკათედრო ტაძარი, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინება. მისი



პირველი მღვდელმთავარი მეუფე იაკობი გახლდათ. მადლობას ვწირავ უფალს, რომ აფხაზი მოძღვრის დახმარებით აფხაზეთიდან მშვიდობით გამოვალწიე და 21 წელია გარდაპირის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში (ძირითადად, შაბათ-კვირას) აღვავლენ უფლის სადიდებელს.



### გურამ ფირცხალაიშვილი

1967 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით მუშაობა დავიწყე გარდაბანში, თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტრო სადგურში, სადაც სხვადასხვა თანამდებობაზე ვიმუშავე 10 წელი. 1977 წლის მაისში გადამიყვანეს გარდაპირის რაიონის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, ხოლო 1979 წლიდან არჩეული ვიყავი გარდაპირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც 13 წელი ვიმუშავე.

ჩემი მუშაობის პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, სადაც რაიონის ხელმძღვანელებთან: გურამ ლოლაძესთან, გივი კვანტალიანთან, ოთარ ბოკერიასათან, ავთანდილ შანშიაშვილთან, ზაურ მარგველაშვილთან, გია ჩეჩელაშვილთან, ვანო ჭელიძესთან, აბდულა დაშტამიროვთან, ცეზარ მოსიძესთან და სხვა ბატონებთან ერთად, ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის.

განსაკუთრებით მინდა გამოყოფილი გარდაბნის ცენტრში ეროვნული მნიშვნელობის ორი უდიდესი მშენებლობა – დედა ლვისმშობლის შობის ეკლესიის კომპლექსი და ქართული საშუალო სკოლა. (მანამადე გარდაბანში იყო ქართულ-რუსული, აზერბაიჯანული და რუსული სკოლები, დამოუკიდებელი ქართული სკოლა კი არ არსებობდა).

ყოვლადწმიდა ლვისმშობლის შობის ეკლესიის მშენებლობის იდეა ქალბატონ მაყვალა კიკაბიძე-უგულავას ეკუთვნის. მან და მისი ოჯახის წევრებმა: ბატონმა რევაზ უგულავამ, შვილებმა მარინე, ნინო და მერაბმა უდიდესი ლვანლი გაიღეს და ამაგი არ დაიშურეს ამ მშენებლობის წარმატებით დასრულებაში.

1988 წელს, როცა ქალბატონმა მაყვალამ მრევლის სახელით მომმართა, ადგილი შემერჩია და დავხმარებოდი ეკლესიის მშენებლობაში, მაშინ დელი სიტუაციიდან გამომდინარე, ვალდებული ვიყავი რაიკომის პირველი მდივანი, უდიდესი პა-

ტრიოტი, ბრწყინვალე მამულიშვილი ბატონი ოთარ ბოკერია ჩამეყენებინა საქმის კურსში. მან მირჩია, რომ იქნებ სჯობდა ამ საქმეში არ ჩავრეულიყავი, მაგრამ იქვე ვიგრძენი, რომ ეს სიტყვები მას რაღაცა გარეშე ძალამ ათქმევინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონ ოთარსა და ჩემს შორის ამ თემაზე საუბარი კვლავ გაიმართა. მაშინ მან მითხრა: „თვითონ გადაწყვიტე როგორ მოიქცევი, ხელს არ შეგიშლი, მაგრამ თუ რამე მოხდა, შენ თავს დააპრალე“.

ეს უკვე თანხმობას ნიშნავდა და დავიწყე აქტიური მუშაობა, რომ გარდაბნის ცენტრში სულიერების ტაძარი აშენებულიყო. იმ პერიოდისათვის ბატონი ოთარის გადაწყვეტილება და მხარდაჭერა, მართლაც, გმირობის ტოლფასი იყო.

1989 წლის 30 ნოემბერს გარდაბნის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, გარდაბნის ცენტრში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიის აშენების შესახებ. ამ მიზნით გამოიყო 1500 კვ. მეტრი მიწის ფართობი. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

ალბათ, საინტერესოა ეკლესიის ასაშენებული ტერიტორიის ისტორიაც. 80-იან წლებში, თბილსრესის მე-9 და მე-10 ბლოკების მშენებლობასთან დაკავშირებით, საკავშირო ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, ქალაქ გარდაბანში სოციალურ-კულტურული ცენტრების, მათ შორის, ენერგეტიკოსე-

ბის კულტურის სასახლის ასაშენებლად გამოიყო გარკვეული თანხა. კულტურის სასახლე დაპროექტებული იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად ბრწყინვალე ტაძარია აღმართული. საკავშირო ენერგეტიკის სამინისტროში გარდაბნის განაშენიანების პროექტის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გამოყოფილი თანხა არ ყოფნიდათ და ამ მიზეზით გეგმიდან კულტურის სასახლის მშენებლობა ამოიღეს. დღეს დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი ღვთის ნებით მოხდა, რადგან იმ ადგილას სულიერების სასახლე უნდა აშენებულიყო.

მშენებლობის ადგილის დათვალიერებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნმიდესი და უნეტარესი ილია II აღფრთოვანებული დარჩა, ადგილი მოიწონა, აკურთხა და რჩევა მოგვცა, ამ ადგილზე სამთავისის ეკლესიის ანალოგი აშენებულიყო, რაც შესრულდა კიდეც.

ვამაყობ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე ამ დიდებული ტაძრის მშენებლობაში, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ლოცა-კურთხევითა და რაიონის ორგანიზაციებისა და მოსახლეობის შენაწირით აშენდა.

ჩემი ოჯახისათვის უდიდესი საჩუქარია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ ნაჩუქარი ბიბლია ლამაზი წარწერით „ბატონ გურამ ფირცხალაიშვილს,

- ღრმა პატივისცემითა და ლოცვა-კურთხევით.  
† ილია II. 14/II. 1990“.

ართ კუთხი  
ვარდობისათვის, —  
ეს პიროვნეულობა  
ოფიციალური.

თ. ა. ლ.

14/II. 1990.



## ნუგზარ (ხუტა) მამალაძე

გარდაბნის დედალვთისმ-შობლის შობის ტაძრის მშენებლობა 1990 წელს დაიწყო და 1992 წელს დამთავრდა. იმ ნლებში ტაძრის აშენებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. 1991 წელს ვიყავი უზენაესი საბჭოს წევრი. 1992 წლის 28 იანვრიდან



დავინიშნე გარდაბნის რაიონის გამგებლად. მიუხედავად ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა, მშენებლობა ერთი წუთით არ შეჩერებულა. როცა ტაძრის აშენების ძირითადი სამუშაოები დასრულდა, დავიწყეთ ზრუნვა გადახურვაზე, მოპირკეთებასა და კეთილმოწყობაზე. ტაძრის მშენებელთან, №1 ტრესტის მმართველ თემურ ჩარკვიანთან და ვალერი მოქერიასთან ერთად თხოვნით მივმართეთ რესპუბლიკის ლითონით მომარაგების ხელმძღვანელს, ან განსვენებულ ანზორ თავართქილაძეს. მან მოიხმო თავისი კოლეგები, თენგიზ კალანდაძე, ჯუმბერ შოთაძე და მიიღეს გადაწყვეტილება საჩუქრად გადმოეცათ ძვირადლირებული სპილენძის მასალა, რომლითაც გადახურულია ტაძარი. თბილისის კრწანისის რაიონის გამწვანებისა და კეთილმოწყო-

ბის სამმართველოს უფროსმა, ზაურ თაბაგარმა თავისი ხარჯებით მოაწყო ეკლესიის ეზო.

ტაძრის მშენებლობის პერიოდში იგრძნობოდა შესამური ერთსულოვნება, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი თუ მუშები, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შემართებით მუშაობდნენ. მოდიოდნენ ადამიანები სხვადასხვა სოფლებიდან და გასამრჯელოს გარეშე შრომობდნენ. ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობდნენ ორგანიზაცია-დანესებულების ხელმძღვანელები, რიგითი თა-ნამშრომლები, ქალები თუ კაცები, ახალგაზრდები თუ ხანდაზმულები, ყველა ისინი, ვისაც ბედმა არგუნა იმ პერიოდში გარდაბანში ცხოვრება და მუშაობა.

რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელის, რაიონმის პირველი მდივნის, ბატონ თთარ ბოკერიას თანხ-მობა მშენებლობის დაწყების თაობაზე, იმ დროი-სათვის უპრეცედენტო იყო და ამ გადმოსახედიდან უდიდეს პატივისცემას იმსახურებს მისი გამბედაო-ბა და განეული ღვანლი.

რაიონის აღმასკომის თავჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ გურამ ფირცხალაიშვილს და-ვალებული ჰქონდა მშენებლობის საერთო ხელმ-ძღვანელობა და ამიტომაც პატივსაცემია მისი ღვანლი ტაძრის მშენებლობის საქმეში. გრანდიო-ზული მშენებლობა უმოკლეს პერიოდში დასრულ-

და, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის ურთულესი მოვლენის, სამოქალაქო ომის დროს მიმდინარეობდა.

ეჭვს არ იწვევს ქალბატონ მაყვალა კიკაბიძე-უგულავასა და მისი ოჯახის ყველა წევრის ამაგი ამ საღვთო საქმის აღსრულებაში.

ტაძრის მშენებლობისას დიდ დახმარებას გვიწევდა სასოფლო მშენებლობის მაშინდელი მინისტრი იოსებ ხარატიშვილი. ამ მშენებლობის დაწყებისას ვიყავი აგროსამრეწველო გაერთიანება „გარდაბანის“ თავმჯდომარე, ამ გაერთიანების 75 წევრიორგანიზაცია, მოგებიდან მიღებულ სოლიდურ თანხას რიცხავდა მშენებლობის ფონდში.

1992 წლის 4 ოქტომბრის მზიანი დილა გათენდა. ომი იყო ამ დროს საქართველოში. ქალაქად თუ სოფლად გარეთ გასვლას ერიდებოდნენ ადამიანები. გარდაბნის ეკლესიის ზარების შემოკვრა კი გახდა საწინდარი იმისა, რომ ქვეყანა წესრიგისა და მშვიდობისაკენ მობრუნებულიყო. სხვადასხვა რეგიონებიდან გარდაბანში რჩეული საზოგადოება ჩამობრძანდა და ტაძრის კურთხევასა და ეროვნულ დღესასწაულ „გარდაბნობა“-ში მიიღო მონაწილეობა.

ჩამობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც აკურთხა ტაძარი და დალოცა მრევლი. იმ დროს გაერთიანდა პოზიციაც და ოპოზიციაც. პოლიტიკური მრწამსის

მიუხედავად, ერიც და ბერიც ერთად დადგა. სულიერების საოცარი ზეიმი შედგა.

ნრფელი მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ტაძრის მშენებლობაში. ეს იყო პირველი ტაძარი, რომელიც ორი საუკუნის შემდეგ საქართველოში ფუნდამენტიდან აშენდა. მან დასაბამი მისცა ახალ ეკლესიათა მშენებლობას.

### თემურ ჩარკვიანი



ამ დიდებული ტაძრის მშენებლობა რომ დაიწყო, გარდაბანში ვმუშაობდი სოფლმშენის №1 ტრესტის მმართველად. ამ რაიონში 37-ე მოძრავ-მექანიზირებულ კოლონას დავალებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის მშენებლობა. შენდებოდა ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსი, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა, კრწანისის მელორეობის კომპლექსი, სამგორის მეფრინველეობის საჯიშე მეურნეობა, სკოლები, საცხოვრებელი სახლები. ამ კომპლექსთაგან ზოგიერთი საკავშირო დაქვემდებარებისა იყო.

როცა შევიტყვე გარდაბანში ეკლესის მშენებლობა იწყებოდა, მივმართე გარდაბნის აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ გურამ ფირცხალაიშვილს, რადგან უშუალოდ მას ეხებოდა ორგანიზაციული საკითხები და ვთხოვე, მოეცა წმიდა სახლის აშენების ნებართვა. ბატონმა გურამმა ჩვეული სითბოთი გაიცინა და მითხრა, გვერდზე უნდა დამიდგეთ.

მართლაც, გვერდზე დავუდექით და ღვთისა და კაცის ნებით, ეს დიდებული ტაძარიც აშენდა. ამ მშენებლობის დაწყება ძალიან ძნელი იყო. ახლა ეკლესიას კერძო პირიც აშენებს, მაშინ ჯერ ისევ საბჭოთა ინერციით ცხოვრობდა ქვეყანა და რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ სიძნელეს ოფიციალური საკითხების მოგვარება წარმოადგენდა, რომელიც ქალბატონ მაყვალა კიკაბიძის უდიდესი ძალისხმევით მიღწეულიც იქნა. სიძნელე ისიც იყო, რომ არ გვქონდა ტაძრის მშენებლობის გამოცდილება, ჩვენს თაობას ხომ ეკლესიები არ უშენებია! ოპერა-ტიულად ჩამოყალიბდა მშენებლობის შტაბი. მოხდა მიწის ნაკვეთის გამოყოფა, ტარდებოდა თათბირები და მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები იქ წყდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძნელი იყო სახსრების მოზიდვაც, რადგან ტაძრის მშენებლობა იმ წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული და

უგეგმო ობიექტის აშენება თითქმის წარმოუდგენელი იყო.

მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, დაახლოებით ასი კაცი უწყვეტ ცვლაში გასამრჯელოს გარეშე მუშაობდა. ენთუზიაზმით მუშაობდნენ აზერბაიჯანელები, ბერძნები, სომები, არ იგრძნობოდა რელიგიური განსხვავება, საქმეს ყველა ერთგულად აკეთებდა.

მშენებლობის პერიოდში უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამჯერ იყო ჩამობრძანებული. მისი ლოცვა-კურთხევით, 1992 წლის 4 ოქტომბერს დავამთავრეთ ტაძრის მშენებლობა. ტაძრის გახსნა სრულიად საქართველოს ზემი იყო. მე მორწმუნე კაცი გახლავართ, ბებიაჩემისაგან, უაღრესად ღვთისმოსავი ქალისაგან, ვარვარა ჯაფარიძისაგან მაქვს ჩანერგილი ღვთისადმი პატივისცემა და სიყვარული. ხუთი წლის ასაკში მოვინათლე დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიაში. ბებიამ მაშინ ჯვარი მაჩუქა, რომელსაც დღესაც ვატარებ და თუ რამეს მივაღწიე, ამ ჯვრის მადლია.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად, წილად მხვდა XX საუკუნეში აშენებული ამ ტაძრის მშენებელთაგანი ვყოფილიყავი.

ღვთისმშობლის შობის ტაძრის შემდეგ, ღვთის მადლით, ავაშენეთ წმიდა დავით აღმაშენებლის

სახელობის ეკლესია თსუ უნივერსიტეტის ეზოში, სამების ტაძარი ბათუმში და გრანდიოზული სამების ტაძარი თბილისში.

ამაყი ვარ, ღვთის ოთხი სახლის მშენებლობაში მივიღე მონაწილეობა. მათი მადლი ჰუარავს ჩემს ოჯახს, ჩემს ახლობლებს, და ჩემს ან საკეთებელ კეთილ საქმეებს.

მადლობა უფალს და მადლობა ყველას, ვისაც საქართველოს აშენებისა და სულიერი აყვავების მისია ავალია.

### ჯიმშერ ქაჯაია

1988 წელს, თბილისში, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში, რომელსაც ვხელმძღვანელობდი, ბატონი გურამ ფირცხალაშვილი მოპრძანდა თხოვნით, რომ საჭირო იყო გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს შენობის დანგრევა. ჩემთვის მოულოდნელი იყო ეს წინადადება, რადგან ეს გახლდათ უძველესი სამმართველო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში. ამ სამმართველო-



დან ხდებოდა გარდაბნის მაგისტრალური არხების მართვა და ირწყვებოდა 11 ათას ხუთასი ჰექტარი.

ბატონმა გურამმა ამისნა, რომ ამ ადგილას ოდესლაც ეკლესია იყო და ახლაც ეკლესის აშენება გვაქვს გადაწყვეტილიო, მე წამითაც არ დავფიქრებულვარ და თანხმობა განვაცხადე. იქვე გადაწყდა, რომ ამ სამმართველოს თანამშრომლებს შესაფერის შენობას გამოუძებნიდნენ, რაც დაკმაყოფილდა კიდევაც.

მშენებლობა როცა დამთავრდა, ძალიან გახარებული ვიყავი, რადგან გარდაბნის რაიონის მართლმადიდებელ მოსახლეობას საშუალება მიეცა ყოველდღიური წირვა-ლოცვა თუ საეკლესიო დღე-სასწაულები საკუთარ ტაძარში აღესრულებინა.

ჩემთვის კი, ქრისტიანი კაცისათვის, დიდი სიხარულია, რადგან ამ საშვილიშვილო საქმეში წვლილი მეც მიმიდლვის.

## მარინე უგულავა

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენს ოჯახს სისტემატურად სტუმრობდა მამა სოგრატი და მამა ელიზბარი. ხელისუფლების-გან ფარულად ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ნათლავდნენ, ესენი იყვნენ ქართველები, ასირიელები, სომხები. მამა აბრაამის სალოცავ ოთახში კათოლიკური და მართლმადიდებლური ხატები ერთად იყო დაბრძანებული, რადგან იმ დროს, ჯერ კიდევ არ იყო სათანადო ცოდნა, თუ სად და როგორ უნდა დაგვებრძანებინა ხატები. ზუსტად ეს პატარა სამლოცველო იყო ის ადგილი, რომლის არსებობის საფუძველზე მოსკოვის რელიგიის სამინისტროდან გამოვითხოვეთ ახალი ტაძრის აშენების უფლება.



ტაძრის აშენების სურვილი რომ გაიგეს, ჩვენს ოჯახში სხვადასხვა სამსახურის მხრიდან გახშირდა ღამის სტუმრობები, რასაც დედაჩემის ნერვიულობა მოსდევდა ხოლმე. შვიდი წლის განმავლობაში (1982-1989 წწ.) ჩვენი ოჯახის მიმართ ხელისუფლების მხრიდან იყო არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება და იმ პერიოდისთვის, ეს სულაც არ გახლდათ გასაკვირი.

მაშინ სტუდენტი ვიყავი და კარგად დამამახსოვრდა მაყვალა კიკაბიძისთვის ნიშნის მოგებით ნათქვამი: თუ შეგიძლიათ წარმოადგინეთ ისტორიული დოკუმენტი, რომ აქ ოდესლაც ეკლესია იდგაო. მახსოვს ცხონებული კონსტანტინე ჩოლოყაშვილის თანადგომა გარდაბნის ტერიტორიაზე საეკლესიო ნაგებობის არქივებში მოძიების საკითხზე. ისტორიულ წყაროებში, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ ასეთი დოკუმენტი, მაგრამ ანგარიშგასაწევი იყო ხანდაზმული ასირიელი ქალბატონების მოგონება და მტკიცება, რომ ქალაქ გარდაბანში ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი იდგაო.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ტაძრის აშენების ბედი. სწრაფვა ტაძრისკენ უკვე თვალშისაცემი იყო. უკვე არავის ეშინოდა სანთლის დანთება, ლოცვა. შეიძლებოდა ადამიანებს ხმამაღლა ეთქვათ, რომ ეკლესიაში მიდიოდნენ. ვფიქრობ, ეს სიტუაცია განსაკუთრებით წაადგა ტაძრის აშენების საქმეს.

ტაძრის მშენებლობის მთელი პერიოდი მძიმე და დასამახსოვრებელია ჩვენი ოჯახისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ტაძრის აშენებისთვის ჩამოტანილ ქვასაც კი ახსოვს ქალბატონ მაყვალას ცრემლი და ტკივილი. არც თანხების მოზიდვა იყო ადვილი. მახსოვს, საღამოობით, როცა პატრიარქთან ვიკრიბებოდით, მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე) (რომელ-

საც მიგვამაგრა პატრიარქმა) და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დავითი (ჭკადუა), როგორ დიდხანს ვფიქრობდით, თუ ვისთვის მიგვემართა ფინანსური დახმარებისთვის.

ტაძრის მშენებლობის პერიოდი დაემთხვა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდს. აფხაზეთში დაძაბული მდგომარეობა იყო. თურმე საომარი მდგომარეობა მწიფდებოდა. ჩვენ არც ვფიქრობდით, რომ ომი დაიწყებოდა. ჩვენ ხომ აქ ჩვენი ომი გვქონდა. არ დამავიწყდება საპატრიარქოში ერთ-ერთი შეხვედრისას პატრიარქის ტკივილიანი სახე. მე მაშინ პირველად ვიხილე მტირალი პატრიარქი... ახლაც, ამდენი ხნის გასვლის შემდეგაც, ამ ფაქტის გახსენება უცრემლოდ არ შემიძლია.

დაუვიწყარია მეუფე დავითან (ჭკადუა) შეხვედრა სოხუმში. 1991 წელს, შემოსაწირი თანხის შეგროვების მიზნით, მეუფეს თავის რეზიდენციაში ვეწვიე. დიდხანს ვისაუბრეთ. ახლა რომ ვფიქრობ იმ შეხვედრაზე, ცოტათი მრცხვენია კიდეც და პატიებას ვთხოვ მეუფის სულს უკიდეგანო მოთმინებისათვის, სულიერი სიმაღლისა და განათლებისათვის, რაც მე მაშინ კარგად ვერ შევაფასე, რადგან ჯერ ერთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ხომ ვიყავი, მაგრამ ასევე ემოციურად დატვირთული და გაღიზიანებულიც ვიყავი, ალბათ, ეს იყო ჩემი

მხრიდან ამპარტავნობა, თავს ვერ ვიკავებდი და ათასნაირ კითხვაზე პასუხს ვითხოვდი მეუფისგან. ეს ეხებოდა ეკლესია-მონასტრების აშენებისა და აღდგენის საქმეს, გელათის აკადემიის რესტავრაცია-აღორძინებასა და მართლმადიდებელი ქრისტიანების რწმენის გაძლიერების საკითხებს.

მაშინაც შევამჩნიე და ახლა უფრო მეტად ვხვდები, რომ უჩვეულოდ დამწუხერებული ჩანდა მეუფე დავითი. მას საქართველოს ერთ-ერთ ურთულეს ეპარქიაში უხდებოდა მსახურება და ეს ზუსტად იყო არეკლილი მის სახეზე, სულსა და გულზეც. ზუსტად ეტყობოდა, რომ მისი სიყვარული საქართველოსადმი, არ იყო მოჩვენებითი და წამიერი ეფექტის მქონე. მისი გარდაცვალებაც ხომ ამას მოწმობს, ვერ გაუძლო და ის გული გაუჩერდა, რომელიც სამშობლოს სიყვარულით უძგერდა. ასეთ ადამიანებთან შეხვედრა გვაძლიერებდა, გვაწრთობდა და გვშველოდა ტაძრის აშენების ძალა რომ მოგვცემოდა.

მადლობა უფალს, რომ ასეთ ადამიანებს შეგვახვედრა.

ტაძრის მოსაპირკეთებელი ქვის მოძიება როცა დავიწყეთ, გადაწყდა, რომ მისი კედლები ქართული ქვით მოპირკეთებულიყო. ეს პატრიარქის თხოვნა და სურვილი იყო და ახლა, ამდენი წლის შემდეგ უფრო ვრწმუნდები უწმიდესის სიტყვების სიმართ-

ლეში, სიბრძნესა და მომავლის განჭვრეტის უნარში.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი ჩამრჩა ხსოვნაში: როცა პატრიარქს წარვუდგენდით ამ ტაძრის არქიტექტორს, ჩუქურთმის მჭრელსა თუ მუშახელს, იგი თითოეულ მათგანს ისე ჭვრეტდა და უყურებდა, როგორც ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს და საერთოდ, ისტორიაში ჩასაწერ ადამიანს.

მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა ყველას, ვისაც ამ ტაძრის აშენებაში ღვანლი აქვს და თუნდაც მცირე, მაგრამ გულითადი წვლილი აქვს შეტანილი. ასევე მადლობა ჩემს დედას, მაყვალა კიკაბიძეს, რომელმაც შეძლო „ამა სოფლის ძლიერებს“ შეუპოვრობითა და გამბედაობით დაპირისპირებოდა და ძირძველ ქართულ მიწაზე აეშენებინა დედალვთისმშობლის შობის ტაძარი, სადაც მართლმადიდებელი ქრისტიანები დილის წირვასა და საღამოს ლოცვას ესწრებიან, რაც მისი დიდი სურვილი და ოცნება იყო.

მისაბაძი ადამიანია იგი, რადგან ქალაქ გარდაბანში, ღვთის შენევნით, შეძლო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის აშენება.



## ნინო უგულავა

ჩემი დედის, ქალბატონ მაყვალას დამსახურებაა, რომ ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტერი გვაქვს შემოვლილი. ბავშვობიდან დედას დავყავდით და ღვთის შიშა და სიყვარულს გვინერგავდა. ჩვენს ოჯახში სარწმუნოებრივი აღზრდა დედას უკავშირდება, ჩვენი ბებიაც ასევე უნერგავდა დედაჩემს და მის და-ძმებს ღვთის რწმენას და ზრდიდა მათ სულიერად.

1989 წლის ტრაგედიის შემდეგ ხალხის სულიერი გამოლვიძება დაიწყო. მაშინ საქართველოში პირჯვარის გადაწერა არ იცოდნენ და გარდაბანში ჩვენი ოჯახის მაგალითზე ისნავლეს როგორც ლოცვების კითხვა, ასევე პირჯვრის გადაწერა და სხვა ქრისტიანული რიტუალების აღსრულება. როგორც ღვთისმოყვარე ადამიანი, დედას ყველას ტკივილი სტკივა. ვერ იტანს თუ ვინმე ავადაა, თუ ვინმეს რაიმე ანუხებს, მუდამ გვერდში უდგას განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს, მატერიალური თუ ფულადი დახმარება იქნება, წამალი თუ ექიმის გამოძახება, ყოველთვის მზადაა მათ დასახმარებლად. ოჯახის წევრები გვერდში ვუდგავართ, ვამხნევებთ, მე მედავითნე ვარ ტაძარში და შინაგანი სითბოთი,

სიკეთითა და ზომიერი სიამაყით ვივსები, რომ ჩემი  
დედის აშენებულ ტაძარში ვგალობ, ვეზიარები და  
ლოცვებს ვკითხულობ.

მადლობა უფალს ყველაფერ ამისთვის!

### ლიანა წიკლაური

1972 წლიდან ვცხოვრობდი  
გარდაბანში და ვმუშაობდი  
მაშინდელ აგროპანკში უფროს  
ეკონომისტად. 1989-91 წლებში,  
საბჭოთა კავშირის დროს, წარ-  
მოუდგენელი იყო არა თუ ეკლე-  
სიის აშენება, არამედ ეკლესიაში  
სიარული და წირვა-ლოცვის მოსმენა. ეს გამბედაო-  
ბა აღმოაჩნდა ღვთის რჩეულ ქალბატონს, მაყვალა  
კიკაბიძეს. როცა შევიტყვეთ, რომ მან იკისრა ასე-  
თი ვალდებულება, ყველანი გავოცდით. მან ჩვენს  
ბანკში გახსნა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის  
მშენებარე ეკლესიის ანგარიში. თანხის გადარიცხ-  
ვაში ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ მონაწილეობა.  
ქალბატონი მაყვალა იმ დროს გარდაბნის რაიონის  
კოოპვაჭრობის დირექტორად მუშაობდა, მან თავი-  
სი ორგანიზაციიდან სოლიდური თანხა გადარიცხა



მშენებარე ეკლესიის ფონდში და როცა თანხები არ იყო საკმარისი, მშენებლობა რომ არ შეფერხებულიყო, ქალბატონი მაყვალა დადიოდა სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და სთხოვდა მიეღოთ მონაწილეობა ეკლესიის მშენებლობაში. იგი ასევე თავისი ორგანიზაციის ზეგეგმიური მოგებიდან ურიცხავდა მშენებლებს თანხას. ამიტომაც იყო, რომ ტაძრის მშენებლობა უმოკლეს ორნელიწადში გასრულდა.

გარდაბნის მართლმადიდებელი მოსახლეობა მუდამ მადლიერი იქნება ამ ქალბატონისა. დღეს ყველა ქრისტიანს რომ შეუძლია ამ ტაძარში ლოცვა, ეს არის ჭეშმარიტი მამულიშვილის, მაყვალა კიკაბიძის დამსახურება.

## **დამოცვებული ლიტერატურა:**

1. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე – „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ოთხ ტომად., თბილისი, გამომცემლობა „მერანი“
2. ვანო ნაკაძე – გარდაპნის სარწყავი სისტემა, თბილისი, 1983 წელი.
3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – 1992 წელი, „კვლავაც თქვან: რა ხელმა ააგო“ დავით ბიწაძე.
4. გაზეთი „თვალთაი“ 15-21 ოქტომბერი, 1997 წელი, 12, „... და დადის ჯვრით-ხურო მხევალი ღვთისა...“ ვახტანგ ულენტი.
5. გაზეთი „გარდაბანი“ 17-30 ივნისი 2000 წელი, თინათინ დოლიაშვილი „მთავარია სულის ტაძარი ვაშენოთ“.
6. გაზეთი „საქართველოს კოოპერატორი“ 27 ნოემბერი, 1992, „დიდი ქველმოქმედი ქალბატონი“ რ. გუჯაბიძე.
7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – 4 სექტემბერი 1991 წელი, „ღვთისმშობლის ტაძარი გარდაბანში“, დავით ივანიძე.

8. გაზეთი „საქართველოს კოოპერატორი“ – 16 ოქტომბერი, 1992 წ. „რწმენისა და იმედის ნათლისვეტად“.
9. გაზეთი „არილი“, 1994 წ. 3 აგვისტო – „ამბავი ეკლესიის მშენებლობისა“ ნინო ჭელიძე.
10. გაზეთი „მადლი“ – 1991 წ. 12 თებერვალი – „განიხსნა კარნი დახშულნი“.
11. გაზეთი „სამგორი“, 6 ნოემბერი 1990 წ. ზენარ ნოზაძე – „აღორძინება“.
12. Церковь «Божей матери» в Гардабани.
13. გაზეთი „მადლი“, 21 აპრილი, 1992 წ. „ქრონიკა“ ელენე ნაცვლიშვილი.
14. «Свободная Грузия» – 24 июля 1991 «Храм – белоснежный красавец» Джумбер Гогричани
15. „სამგორი“ 1989 წლის 7 დეკემბერი, ქალაქ გარდაბანში აღსდგება ღვთისმშობლის ეკლესია.
16. სტუდია „გუთანის“ მიერ 2013 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი „სამი ტაძრის ქტიოტორი“.





სტამბა დამანი  
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიძაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

**f** სტამბა დამანი / Print House Damani